ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 7 ივნისი, 2011 №133 (5514) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“ +„რიშელიე“
8 ლარი
30 მაისიდან 13 ივნისამდე




# შსს-მ ტერაქტის განხორციელების კიდევ ერთი მცდელობა აღკვეთა

გვ.2



## 26 მაისს სააკაშვილმა თავისთვის პოლიტიკური სამარე გაითხარა

გვ.2

## რატომ არ დააპატიჟეს თორთლაძე ფილმის პრემიერაზე

გვ.3



## არის თუ არა უცენზურო სიტყვა „სააკაშვილი“

გვ.4

## რატომ წავიდა ნინო ბურჯანაძე კიევში

გვ.4





## ყველა ხერხს მივმართავთ, რომ სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს

გვ.5



## აღიარა თუ არა ვანუატუმ აფხაზეთი?

გვ.6



## სააკაშვილი რეპრესიებს ისევ განაგრძობს

გვ.5

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 მოშიმშილე სოსო ჯაჭვლიანს 16 კილოგრამი აქვს დაკლებული

5 ამერიკელ კონგრესმენებს საქართველოში მხოლოდ სააკაშვილის ხროვა სჭირდებათ

9 ბახვა თედეევს რუსეთის ეიმედება

6 ხობში წმინდა ნინოს უძველესი ფრესკა აღმოაჩინეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# 26 მაისს სააკაშვილმა თავისთვის პოლიტიკური სამარე გაითხარა

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, მოდით, 26 მაისს განვითარებული პროცესების შეფასებით დავიწყოთ. ხელისუფლებამ ეს შეაფასა როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, როგორია თქვენი პოზიცია ამ ბრალდებებთან დაკავშირებით?***

— აბსოლუტურად არ მაინტერესებს ხელისუფლების მიერ უნიჭოდ შეთითხნილი ბრალდებები და ის გადაცემები, რომელსაც ყოველდღე „იმედზე“ და „რუსთავი ორზე“ უჩვენებენ საზოგადოებას. მე მგონი, საზოგადოებასაც არ აინტერესებს ეს. ჩვენ ყველას უნდა გვაინტერესებდეს თავად 26 მაისის მოვლენა 2011 წლის. 2011 წლის 26 მაისი, ჩვენ პირდაპირ უნდა ვთქვათ, არის სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკური სამარე. არავის არ ეგონოს, რომ 26 მაისს ამ სისხლიანი დარბევის ღამეს, რომელიც მოაწყო სააკაშვილმა, ყველაფერი დამთავრდა. პირიქით, პროცესი პოლიტიკური ბრძოლისა გრძელდება, ეს ბრძოლა არ გაჩერდება და რა თქმა უნდა, აუცილებლად დამთავრდება ამ რეჟიმის დამარცხებით. 26 მაისი აღმოჩნდა გარდამტეხი ეტაპი სწორედ სააკაშვილის აი, ამ ავადმყოფური რეჟიმის რღვევაში. ჩვენ ველოდებოდით, პირდაპირ გეტყვით, დარბევას.

***— გაგაწყვეტინებთ, ბატონო ირაკლი, სწორედ ამაში გდებენ ბრალს, რომ სახალხო კრების ლიდერებმა მიზანმიმართულად დაარბევინეს აქციაო...***

— ამას შეგნებულად აკეთებენ გარკვეული პროვოკატორები. მე მგონი, ყველას კარგად გვახსოვს, რომ ჩვენ საზოგადოებაში ყოველთვის იყო უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ იწყებენ აქციებს, მერე დაშლიან უაზროდ. პირიქით, იქ შეკრებილ ადამიანებს, ვინც რუსთაველზე იყო შეკრებილი, ყველაში იყო ერთსულოვანი განწყობა იმისა, რომ ჩვენ არ უნდა დავიშალოთ და თუ წამოვლენ დასარბევად, ვიდგეთ ასე შეუპოვრად. აი, ასეთი განწყობა იყო. საერთოდ მთლიანად პოლიტიკური სპექტრის მიმართ იყო ასეთი მოთხოვნა, რომ თუ დაიწყებთ აქციებს, მერე არ უნდა მოხდეს ასეთი უაზრო დაშლა. ჩვენ ამიტომაც დავდექით ასე პრინციპულად. რა თქმა უნდა, ჩვენ ველოდებოდით დარბევას, თუმცა პირდაპირ გეტყვით, რომ ასეთ სასტიკ და ასეთ ვანდალურ დარბევას თუ მოაწყობდა სააკაშვილი, ნამდვილად არ მეგონა. მე ვარ მონაწილე 89 წლის 9 აპრილის მოვლენებისა და როდესაც როდიონოვმა დაიწყო დარბევა მომიტინგეების რუსთაველის პროსპექტზე, მაშინ წამოვიდნენ საბჭოთა ჯარები მხოლოდ ერთი მხრიდან, მხოლოდ მაშინდელი ლენინის მოედნის მხრიდან, დანარჩენი ყველა გასასვლელი იყო დატოვებული. ასეთი ზიზღი, ასეთი სიძულვილი და ასეთი გამეტება, ასეთი სისასტიკე, პირდაპირ გეტყვით, რომ მაშინაც კი არ მახსოვს. მე მაშინ პირდაპირ გვამებიდან ამიღეს, გვამებში ვიყავი და მაშინაც არ ყოფილა ასეთი სისასტიკე და ასეთი გამეტება, რასაც ახლა ჰქონდა ადგილი. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რა რაოდენობის დაღუპულები არიან. ვიცით, რომ ოფიციალურად ოთხი ადამიანია გარდაცვლილი, ესეც ცოტა არ არის, მაგრამ რეალურად არ ვიცით, ეს რიცხვი რამდენია. უამრავი ადამიანია დაკარგული, იზოლატორებში კითხულობენ ხალხს, ვითომ იქ ირიცხებიან და ამ დროს არ არიან. ჩვენ არ ვიცით, რა რაოდენობის დაღუპულები არიან, მაგრამ კიდევაც რომ სულ ოთხი იყოს და ამდენი დაშავებული, ეს იყო ვანდალური დარბევა, როდესაც ყველა მხრიდან წამოვიდნენ აბსოლუტურად; ეს დარბევა კი არა, ეს იყო ჩვენი მოშთობის და ამოხოცვის ოპერაცია, რომელიც ჩაატარა სააკაშვილმა.

***— იყო საუბარი იმის თაობაზეც, რომ 7 ნოემბრის შემდეგ ხელისუფლება ვეღარ გაბედავდა მსგავს ქმედებას, თუმცა ვნახეთ, რომ უარესიც გააკეთა. რა იყო ეს? ანგარიშსწორება, საზოგადოების დაშინების მცდელობა თუ რა?***

— ეს იყო ანგარიშსწორება, ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია. სააკაშვილმა მოინდომა სამაგალითოდ დასჯა ხალხის, სახალხო კრების. აი, ეს იყო მისი მიზანი. მან საბოლოოდ მოინდომა ჩვენი დათრგუნვა, მაგრამ მან ჩვენ ვერ დაგვთრგუნა. სახალხო კრება აგრძელებს ძალისხმევას, აგრძელებს მუშაობას, აგრძელებს ქმედებას. პროცესი გრძელდება. მე ამას ტყუილად და ჰაერზე არ ვლაპარაკობ და რა თქმა უნდა, ახლო მომავალში ხელისუფლებას მოუწევს გაცილებით დიდ საყოველთაო სახალხო აღშფოთების და აზვირთებული პროტესტის ტალღის წინაშე დადგომა. ამას სრული დამაჯერებლობით ვაცხადებ.

***— ითქვა ისიც, რომ ხელისუფლება არ დააპატიმრებს ლიდერებს, თუმცა ყველანაირად შეეცდება მათ პოლიტიკურ დისკრედიტაციასო. ეს არ გამოუვა ხელისუფლებას?***

— ამის მცდელობა არის ყოველდღიურად მის მიერ მართული ტელევიზიებით და მის მიერ მართული მასმედიის საშუალებით ჩვენი დისკრედიტაციის, რომელიც მინდა გითხრათ, რომ არის აბსოლუტურად



## რატომ ვერ გარისკა ხელისუფლებამ ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრება

უნაყოფო. ანალოგიური ხდებოდა 89 წელს, როდესაც ხდებოდა პოლიტიკური ლიდერების დისკრედიტაცია საბჭოთა ხელისუფლების მიერ. თქვენ შეგიძლიათ თვალი გადაავლოთ მაშინდელ პრესას და ყველაფერი არის ერთი ერთზე. მაშინაც გათვლილი იყო, რომ დისკრედიტაცია მომხდარიყო პოლიტიკური ლიდერების, ხალხი დაეშინებინათ. რა თქმა უნდა, საზოგადოების რაღაც ნაწილში არის ეს შიშის გრძნობა დარჩენილი, მაგრამ ეს გაივლის და იცით, როგორი ეფექტია ეს ფსიქოლოგიური? ეს შიშის გრძნობა, რომელიც გაივლის, მალე გადაიზრდება ძალიან დიდ მრისხანებაში. ეს ყოველთვის ასეა. პირიქით, თუკი აქამდე იყო გარკვეული ინდიფერენტიზმი მოსახლეობის ნაწილში, იყო უნდობლობა, ნიჰილიზმი, ახლა ინდიფერენტიზმი აღარ არის, ახლა არის საყოველთაო აღშფოთება. შეიძლება შიშიც არის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, მაგრამ ეს შიში მალე გაივლის.

***— ჩვენ ვნახეთ, დარბევიდან მეორე დღეს რამდენი ხალხი გამოვიდა რუსთაველზე...***

— უუფრო და უფრო მეტი გამოვა. ჩვენ ბრიფინგიც გავმართეთ რამდენიმე დღის წინ და ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა განცხადება წაიკითხა, სადაც მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას და ეს ბრძოლა არის საბოლოო გამარჯვებამდე.

***— რაში გამოიხატება ბრძოლის გაგრძელება, რას აპირებთ?***

— ჩვენ ვაპირებთ პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას, რომელსაც ეს რეჟიმი ვერ გაუძლებს ელემენტარულად. რა თქმა უნდა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უფრო და უფრო მეტ მხარდაჭერას მოვიპოვებთ თვითონ საზოგადოების და ხალხის.

***— რაც შეგეხებათ პირადად თქვენ, ამ ბოლო დღეებში ბევრი კრიტიკული განცხადება მოვისმინე თქვენთან დაკავშირებით, როგორ ფიქრობთ, რომ არ დამალულიყავით იმ დღეს, თქვენი ლიკვიდაცია იგეგმებოდა თუ დაგაპატიმრებდნენ?***

— კრიტიკულში რას გულისხმობთ? რაში გამოიხატება ეს?

***— ვითომ რატომ იმალებოდაო...***

— მე ჩემს ცოლისძმასთან და ჩემს მეგობრებთან ერთად, რომ დაიწყო დარბევა, ჩავედი წინა რიგებში იმისთვის, რომ ხალხი დამეცვა და აღმოვჩნდი მოვლენათა ეპიცენტრში. აღმოვჩნდი მთელ ამ დავიდარაბაში, სადაც წინიდანაც ჩვენ მოგვაწვნენ, უკნიდანაც და მერე უკვე როდესაც ხალხმა შეანგრია რუსთაველის თეატრი, ჩვენ შევედით შიგნით, იქ შემოვარდა სპეცრაზმი, დაიწყეს ჩენი დევნა. მე ამ დროს უკვე ძალიან ცუდად ვიყავი, თითქმის გათიშული, გაზისგან მოწამლული, თავში უამრავი რეზინის ჯოხი მქონდა მოხვედრილი. კიდევ კარგი, ჩემი მეგობრები იყვნენ ჩემ გვერდით და ჩემი ცოლისძმა და ელემენტარულად მათ მოახერხეს ჩემი ათრევა კინოთეატრ „რუსთაველის“ სახურავზე და შემდეგ მეორე სახურავზე გადაყვანა. შეიძლება ითქვას, რომ უმძიმეს მდგომარეობაში ვიყავი. რომ იტყვიან, ნახევრად გათიშულს და გაბრუებულს მიმათრევდნენ. მხოლოდ 27 რიცხვში მოხერხდა ჩემი გონზე მოყვანა სწორედ იმ ოჯახში, სადაც შემიფარეს. რა არის ამაში გაურკვეველი, მე ვერ გამიგია, როდესაც მოგდევს მთელი ბატალიონი მოსაკლავად და უამრავი ადამიანი ხედავდა ამას, როდესაც გამოვიდნენ და პირდაპირ ყვიროდნენ — ბათიაშვილი სად არის, ბათიაშვილი სად არისო. როგორც გითხარით, ჩვენ მოვახერხეთ მეორე სახურავიდან ჩასვლა და როგორც გითხარით, მე მიმათრევდნენ, იმდენად ცუდად ვიყავი და რომ იტყვიან, იმ სხვენზე დამდეს პირდაპირ. მხოლოდ მეორე დღეს, გვიან საღამოს მოხერხდა ჩემი ჩაყვანა და გაყვანა ერთ-ერთ ოჯახში.

***— როგორ ფიქრობთ, რომ არ დამალულიყავით, მართლაც იგეგმებოდა თქვენი ლიკვიდაცია?***

— ეს არის ფაქტი, ამის მომსწრეა უამრავი ადამიანი. ჩვენ მარტო არ ვიყავით მე და ჩემი ცოლისძმა, იქ დაახლოებით ოცამდე ადამიანი იმყოფებოდა, სადაც ჩვენ ვიყავით. ყველამ კარგად დაინახა, როგორ მოგვდევდნენ და მერე გამწარებულებმა ოთხჯერ თუ ხუთჯერ გაისროლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომ ვეღარ გვიპოვეს.

***— რაც შეეხება დაკავებულების ბედს, ადვოკატები საუბრობენ, რომ ისინი სასტიკად ნაცემი და ნაწამები არიან. ალბათ ხელისუფლება არც ფიქრობს მათ გათავისუფლებას, რა ღონეს უნდა მიმართოთ რას გეგმავთ მათ დასახმარებლად?***

— ე.ი. ჩვენი მთავარი საზრუნავი ამ ეტაპზე არიან ეს პოლიტპატიმრები, ესენი ყველანი არიან პოლიტიკური პატიმრები. დღეს ჩვენი მთავარი მიზანია მათზე ზრუნვა. იცით, რომ ჩვენ შევხვდით ადვოკატებს და იურისტებს და ჩვენ ყოველდღიურად ასე რომ ვთქვათ მათი მეშვეობით ვზრუნავთ მათზე, მაგრამ რეალურად, პირდაპირ რომ ვთქვათ, მატი დახსნა საბოლოო ჯამში არის დამოკიდებული ჩვენს ბრძოლაზე, აი, ეს არის მთავარი. ამ დაპატიმრებულთა უმრავლესობა იცით თქვენ, რომ არიან ადმინისტრაციული სასჯელებით, ზოგი ორთვიანი, ზოგი სამთვიანი, მაგრამ ამათგან გარკვეულ ნაწილს მისჯილი აქვს სისხლის სამართლის მუხლი და თანაც ყველას სტერეოტიპულად ერთნაირად აქვს ვითომ წინააღმდეგობა პოლიციისათვის. იჭერენ, ასე დაიჭირეს უამრავი ადამიანი, მათ შორის ჩემი მეგობარი გია სალუქვაძე, თავს დაესხნენ დაშავებულ კაცს და მერე გაუფორმეს, რომ წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელს. ადრე თუ იარაღს უდებდნენ, ნარკოტიკს უდებდნენ, ახლა ამას უფორმებენ, რომ ვითომ წინააღმდეგობა გაუწია. დღეს ჩვენი ბრძოლა არის მართლაც და წმინდათა წმინდა მიზნიდან გამომდინარე, რომ დავიხსნათ ეს ადამიანები. ეს არის დღეს ჩვენი მთავარი საზრუნავი.

***— რაც შეეხება რუსულ კვალს სახალხო კრებაში, კავშირს თემურ ხაჩიშვილთან? ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს ხოლმე რომ რუსეთისგან მტრის ხატი შექმნას, მაგრამ მაინც რა კავშირი აქვს ამ ხალხს სახალხო კრებასთან, ასევე იმ პიროვნებებს, რომელიც ყინწვისში აიყვანეს?***

— ეს არის სრული სისულელე, აბსურდი, საერთოდ ვინ არიან ეს ადამიანები, რანი არიან, რა შუაში არიან ჩვენთან? ეს არის ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი. ძალიან მაინტერესებს, ვინ არის ეს ხალხი და სად გამოჩხრიკეს?! სწორედ ამიტომ ჩვენ ეს საკითხი არ გვაღელვებს. ეს არის იმდენად მარაზმი, უნდათ, რომ ვიღაც ეს ხალხი მოგვაწებონ ჩვენ და ვერ მოგვაწებებენ, ეს თვითონაც კარგად იციან. ეს არის მხოლოდ საზოგადოებაზე გათვლილი, რომ ვითომ რაღაც დააბოლონ ამით ხალხი. რა შუაშია ხალხი, მე საერთოდ არ ვიცი, ვინ არის ეს გოგუაძე, ღვალაძე, ვინ არიან ესენი? ისინი აგენტებს აგზავნიდნენ ჩვენთან.ჩვენ ვიყავით მთავარი სამიზნე ამ ხელისუფლების. უნდა გითხრათ, რომ დღემდე გრძელდება ჩვენი პოლიტიკური დევნა, პირადად ჩემი და ჩემი ოჯახის. დღეს ჩემი დევნა მიდის მთელი ჩემი ოჯახის დონეზე. გუშინ დაიჭირეს ჩემი შვილი, ჩემი ცოლი, მერე მეც დამიჭირეს.

***— ბატონო ირაკლი, როგორც ცნობილია, ეს ინციდენტი კინოთეატრ რუსთაველთან მოხდა იქნებ ზუსტი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ამის თაობაზე?***

— ჩემი ქალიშვილი ირინა, რომელიც მივიდა რუსთაველის პროსპექტზე თავის მეგობრებთან ერთად, უნდოდათ, უბრალოდ პროტესტის გამოხატვა, პირდაპირ ქაშუეთის ეკლესიასთან დააკავეს. შემდეგ ჩემი ცოლიც დააკავეს. მე როდესაც დავიწყე მათი ძებნა, მთელი სამი საათის განმავლობაში ვერ დავადგინე, სად იყო ჩემი ცოლ-შვილი. ვიცოდი, რომ პატრულმა წაიყვანა, ე.ი. ქალაქის სამმართველოში მეუბნებიან, არ ვიცით, პატრულში მეუბნებიან, არ ვიცით, მთაწმინდის პოლიციაში მეუბნებიან, არ ვიცით და მოგვიანებით გავიგე, რომ მიიყვანეს პირდაპირ ქალაქის სასამართლოში. ქალაქის სასამართლოში როდესაც მივედი, იქ უკვე პროცესი დაწყებული იყო და დარბაზში არ შემიშვეს, მეც აღელვებული ვიყავი და ამასთან დაკავშირებით მომივიდა შეხლა-შემოხლა მანდატურებთან და შემდეგ მეც ხელბორკილი დამადეს. შემდეგ ეტყობა, რომ დაფიქრდნენ მიხვდა, რომ საჭირო არ იყო ეს დაკავება, რადგან ეს მათთვის დიდ ხმაურს გამოიწვევდა. 400-400-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს მაიას და ირინას და მე 500-ლარიანი ჯარიმა დამაკისრეს.

## მოშიმშილე სოსო ჯაჭვლიანს 16 კილოგრამი აქვს დაკლებული

„სახალხო კრების“ წევრ სოსო ჯაჭვლიანს, რომელიც მე-12 დღეა შიმშილობს, 16 კილოგრამი აქვს დაკლებული, რაც ვიზუალურადაც ეტყობა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა ლევან ჯოხაძემ განუცხადა. ჯაჭვლიანი ამჟამად რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება. „ინტერპრესნიუსმა“ მოახერხა პალატაში შეღწევა, სადაც ჯაჭვლიანი თავად ნახა, თუმცა, ჟურნალისტს მასთან გასაუბრების საშუალება არ მიეცა. პალატას ბადრაგი იცავს. როგორც კი ჟურნალისტმა სოსო ჯაჭვლიანთან გასაუბრება სცადა, ის პალატიდან მაშინვე გამოაძევეს.



ჯაჭვლიანის მკურნალი ექიმი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს. პაციენტს გადასხმები უკეთდება. მისი მდგომარეობა გუშინწინ გაუარესდა, რის შემდეგაც რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს.

ადვოკატ ლევან ჯოხაძის განცხადებით, წინასწარი დაკავების დაწესებულებებში ჯაჭვლიანის მიმართ ცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სოსო ჯაჭვლიანი 26 მაისის მოვლენებისას დააკავეს. მას ადმინისტრაციული სასჯელის სახით 30-დღიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

**ინტერპრესნიუსი**

## შსს-მ ტერაქტის განხორციელების კიდევ ერთი მცდელობა აღკვეთა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გუშინ, ტერორისტული აქტის განხორციელების კიდევ ერთი მცდელობა აღკვეთეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცავებმა მცხეთის რაიონში დააკავეს ბადრი გოგიაშვილი, რომელსაც თან ასაფეთქებელი ნივთიერება ჰქონდა. პოლიციამ ის ამოიღო და წყლის ჭავლის სპეციალური დანადგარით გააუვნებელყო.

როგორც შსს-ში განმარტავენ, დაკავებული პირის ჩვენებით ირკვევა, რომ მას ახალგორში დისლოცირებული რუსეთის სასაზღვრო ჯარების უფროსის მოადგილე ალექსეი სოკოლოვის, ახალგორის სამმართველოს მილიციის უფროსი ვლადიმერ ფუხაევის და ახალგორის სამმართველოს მილიციის თანამშრომლის, ვოვა კიბილოვის მიერ მიცემული ჰქონდა დავალება, მოეძებნა თბილისში ისეთი შენობა, რომელზეც განთავსებული იქნებოდა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროკავშირის ან ამერიკის შეერთებული შტატების დროშა. ბადრი გოგიაშვილის მიერ დაფიქსირებული შენობებიდან ზემოთ აღნიშნულმა პირებმა შეარჩიეს თბილისში, ნატოს სამეკავშირეო ოფისი და ბადრი გოგიაშვილს მოსთხოვეს, ახალგორში მისთვის გადაცემული ბომბი ამ ოფისთან აფეთქებინა. შსს-ს ცნობით, დაკავებულის ჩვენებით ირკვევა, რომ აღნიშნული ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის მას 2 000 აშშ დოლარს გადაუხდიდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქმესთან დაკავშირებით დამატებითი დეტალების დადგენის მიზნით ძიებას აგრძელებს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით ბაქრაძე რუმინეთის სენატის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე რუმინეთის სენატის პრეზიდენტს, მირჩა ჯოანას შეხვდა.

შეხვედრისას პარლამეტის თავმჯდომარეებმა რუმინეთისა და საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს. აღინიშნა რუმინეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა საქართველოს მიმართ.

— რუმინეთი რჩება საქართველოს მხარდამჭერად ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. ჩვენ ვფიქრობთ საქართველოსთან დაკავშირებით შევიმუშაოთ იგივე პოლიტიკა, რაც რუმინეთს მოლდოვასთან აკავშირებს, — განაცხადა მირჩა ჯოანამ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ რუმინულ მხარეს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა 2010 წელს სენატის მიერ ერთხმად მიღებული საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციისთვის.

— ეს იყო საქართველოსთვის ძალიან ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა და მნიშვნელოვანი სიგნალი ჩვენი ქვეყნისთვის, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

შეხვედრაზე მხარეებმა ასევე ისაუბრეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების და ენერგო დივერსიფიკაციის მნიშვნელობაზე. გადაწყდა, რომ შეიქმნება რუმინეთისა და საქართველოს პარლამენტში ერთობლივი კომიტეტი, რომელიც აქტიურად იმუშავებს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დღესვე შეხვედრები გამართა რუმინეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე რობერტა ანასტასესთან და პარლამენტებს შორის არსებული მეგობართა ჯგუფის ხელმძღვანელ მარიუს ნეკოლაისთან.

საქართველოს პარლამენტის დელეგაციაში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, დეპუტატი პაატა ლეჟავა და ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე იმყოფებიან. შეხვედრებზე საუბარი შეეხო პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას. ამ კუთხით ხაზი გაესვა სატრანსპორტო გადაზიდვების სფეროში ახალი პროექტის განხორციელებას, რომელიც გაზრდის ტვირთბრუნვას და შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

— შემოდგომით დაგეგმილია ბიზნეს ფორუმი, სადაც ერთობლივი ეკონომიკური პროექტები იქნება განხილული, — აღნიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ. მან სენატის პრეზიდენტი და დეპუტატთა პალატის სპიკერი საქართველოში დაპატიჟა. მხარეებმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

**ინტერპრესნიუსი**

# სააკაშვილის რეჟიმი განსხვავებულ აზრს ვერ ეგუება

„ქართული პარტია“ ხელისუფლებას უკანონო დაკავებების შეწყვეტისა და განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის ადამიანების უფლებების დაცვისკენ მოუწოდებს.

— სააკაშვილის რეჟიმი ვერ ეგუება განსხვავებული აზრის საჯაროდ გამოხატვას და მის ნებისმიერ გამოვლენას რეპრესიებით პასუხობს. ეს ტენდენცია კიდევ ერთხელ დადასტურდა 5 ივნისს, როდესაც რუსთაველის გამზირზე აქციის გამართვის მცდელობისთვის, სამართალდამცავებმა დააკავეს „კონსერვატიული პარტიის“ წარმომადგენელი ლაშა ჩხარტიშვილი და „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი ბათიაშვილის შვილი და მეუღლე - ირინა და მაია ბათიაშვილები, — ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მათი შეფასებით, ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის, რომ აგვისტოს ომზე გადაღებული ფილმის შესახებ საკუთარი პოზიცია ამ ადამიანებმა ქუჩაში ხმამაღლა გამოხატეს.

„ქართული პარტიის“ მტკიცებით, სახეზეა „სააკაშვილის ტირანიის“ მორიგი გამოვლინება — განსხვავებული აზრის გამოხატვისთვის მოქალაქეების დევნა და შევიწროება.

**ინტერპრესნიუსი**

# რატომ არ დაპატიჟეს თორთლაძე ფილმის პრემიერაზე

## რისთვის ჩამოვიდნენ ამერიკელი კონგრესმენები თბილისში

**ნანა მიშელაშვილი**

ამერიკელი კონგრესმენები 26 მაისს მომხდარ მოვლენებს გამოეხმაურნენ. მათი შეფასებით, 26 მაისის მოვლენების მსგავს ფაქტებზე ამერიკის კონგრესში მოსმენები აუცილებლად ჩატარდებოდა.

გუშინ აშშ-ს კონგრესის დელეგაციის წევრებმა პარლამენტში ბრიფინგი გამართეს. ამერიკელმა კონგრესმენმა დევიდ დრაიერმა 26 მაისთან დაკავშირებით მას შემდეგ გააკეთა კომენტარი, რაც ამ საკითხით ჟურნალისტები დაინტერესდნენ.



დევიდ დრაიერის განცხადებით, ისინი გაეცნენ ინფორმაციას 26 მაისთან დაკავშირებით და შეუძლია თქვას, რომ მსგავსი რამ ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ მომხდარიყო, აუცილებლად ჩატარდებოდა დამოუკიდებელი გამოძიება.

— მათ შორის აშშ-ს კონგრესში ჩატარდებოდა მოსმენები, განხილვები. ჩვენ ქართველ კოლეგებთან საუბრის დროს ვუთხარით, რომ ეს იქნებოდა სასარგებლო ყველასთვის და გაზრდიდა მთავრობისა და პარლამენტისადმი ნდობას, — განაცხადა დევიდ დრაიერმა.

ამ საკითხის გარდა, ამერიკელმა კონგრესმენებმა პარლამენტის ქუთაისში გადატანაზეც გააკეთეს კომენტარი. რამდენად მიზანშეწონილია პარლამენტის ქუთაისში გადატანა იმ დროს, როდესაც 2012 წელს პარლამენტმა უფრო ეფექტური ზედამხედველობა უნდა განახორციელოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე? ამ შეკითხვაზე დევიდ დრაიერმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია პარლამენტის ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებით და მიმდინარეობს პარლამენტის მშენებლობა, პრეზიდენტმა მათ აჩვენა თუ როგორი იქნება ახალი შენობა.

— იგი იქნება შუშით დაფარული, რაც გამჭვირვალობის სიმბოლოა. ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ პარლამენტის საქმიანობა იქნება ეფექტური. ეს არის ისეთი რამ, რაც საქართველოს მოსახლეობამ, პარლამენტმა და მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანია პარლამენტს ჰქონდეს ადეკვატური შესაძლებლობა, რომ განახორციელოს ადეკვატური ზედამხედველობა მთავრობის საქმიანობაზე, — განაცხადა დრაიერმა.

ამერიკის კონგრესში თავდაცვის კომიტეტის წევრმა სუზან დევისმა კი საქართველოს იმ მოქალაქეებს გადაუხადა მადლობა, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ.

— განსაკუთრებით მინდა მათ ოჯახებს ვუთხრა მადლობა, რადგან კარგად ვიცი, თუ რაოდენ დიდი მსხვერპლის გაღება უწევთ ოჯახებს, — აღნიშნა სუზან დევისმა.

ბრიფინგზე სუზან დევისმა ასევე განაცახდა, რომ შეხვდნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც თავიანთი მოსაზრებები გააცნეს.

— მოგვიყვევნენ ხანდახან, თუ როგორ აწყდებიან სირთულეებს პარლამენტთან თუ მთავრობასთან ურთიერთობაში ხელმისაწვდომობასთან თვალსაზრისით, — აღნიშნა სუზან დევისმა.

რაც შეეხება საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხს, კონგრესმენებმა ამ საკითხზეც გააკეთეს კომენტარი. ამერიკელი კონგრესმენები მიიჩნევენ, რომ უმცირესობის უფლებები უნდა იყოს უზრუნველყოფილი და გარანტირებული.

რაც შეეხება საარჩევნო რეფორმაზე მუშაობას, ამერიკელი კონგრესმენების შეფასებით, მომავალ წელს დაგეგმილი საპარლამენტო და შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ეს არის თავად ქართველი ხალხის, საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტი, თუ როგორი უნდა იყოს საარჩევნო გარემო.

— ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ ჩვენი გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით და ასევე მოგიწოდოთ ისეთი პირობები იყოს შექმნილი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და დემოკრატიას, — აღნიშნა დრაიერმა.

რაც შეეხება გუშინ პარლამენტში გამართულ შეხვედრებს, ამერიკელი კონგრესმენები საქართველოს კონსტიტუციაში შესულ ცვლილებებსაც გაეცნენ. საქართველოში სტუმრად მყოფი კონგრესმენები პარლამენტში საკონსტიტუციო კომისიის წევრებს შეხვდნენ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეხვედრაზე ისაუბრეს იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომელიც ძალაში 2013 წლიდან უნდა შევიდეს. კერძოდ, ისაუბრეს ძალთა ბალანსის ახლებურ გადანაწილებაზე. კონგრესმენები გაეცვნენ იმ უფლებამოსილებებს, რაც პარლამენტს ექნება აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტების კომპეტენციის მხრივ. საუბარი შეეხო ასევე თვითმმართველობის, სასამართლო ხელისუფლებისა და საკუთრების უფლების საკითხებს.

აშშ-ს კონგრესის წევრები ქუთაისში პარლამენტის გადატანის საკითხით ქართველ დეპუტატებთან შეხვედრის დროსაც დაინტერესდნენ. ჟურნალისტებთან საუბრისას „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა მაგდა ანიკაშვილმა ამერიკელ კონგრესმენებთან საპარლამენტო უმცირესობის წევრების შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ კონგრესმენები დაინტერესდნენ პარლამენტის ქუთაისში გადატანისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხებით.

— სხვათა შორის, ასევე დაინტერესდნენ, რამდენად მიზანშეწონილია პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რადგან მათი მოსაზრებით ორ ქალაქში, მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოს შორის თანამშრომლობა შესაძლოა უფრო ნაკლებ ეფექტური იყოს, — აღნიშნა ანიკაშვილმა.

უმცირესობის წევრის თქმით, კონგრესმენებმა შეშფოთება გამოთქვეს ოკუპირებულ ტერიტორიების ახლოს არსებულ დაძაბულ ვითარებაზე და ამ ტერიტორიებიდან პროვოკაციების მოწყობის საფრთხეებზე.

— ამერიკელმა კონგრესმენებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, — აღნიშნა მაგდა ანიკაშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, შეხვედრაზე ამერიკელ პოლიტიკოსებს „ქრისტიან-დემოკრატების“ მოსაზრება გააცნო, რომელიც 26 მაისის მოვლენების გამოძიებას უკავშირდება.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარემ გია თორთლაძემ განუცხადა, რომ საუბარი შეეხო რუსეთს და ოკუპირებულ ტერიტორიებს.

— ოკუპაციასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ და შეხვედრაზე აღვნიშნე, რომ სანამ საქართველო ევროკავშირის ან ნატოს წევრი არ გახდება და ევროსტრუქტურებში არ დაიწყებს ეტაპობრივად გაწევრიანებას, მანამდე რუსეთი მუდმივად ასეთი აგრესიული იქნება, — აღნიშნა თორთლაძემ.

დეპუტატის თქმით, კონგრესმენებთან შეხვედრაზე მან ბალტისპირეთის ქვეყნების მაგალითი მოიყვანა და აღნიშნა, რომ მათ მიმართ რუსეთი ასეთივე აგრესიული ქმედებებით გამოირჩეოდა.

— მას შემდეგ, რაც ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროსტრუქტურებში გაერთიანდნენ, ეს აგრესიაც განეიტრალდა, — აღნიშნა თორთლაძემ.

ამერიკელ კონგრესმენების დელეგაცია თბილისში 4 ივნისს ჩამოვიდა. ბრიფინგზე დაისვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ კონგრესმენები ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერაზე დასასწრებად ჩამოვიდნენ თუ არა, რაც კონგრესმენებმა არ დაადასტურეს. კონგრესმენმა დევიდ დრაიერმა განმარტა, რომ თბილისში მათი ვიზიტი ბევრად უფრო ადრე დაიგეგმა, ვიდრე ფილმის პრემიერის შესახებ შეიტყობდნენ. მან ისიც აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში სულ ოთხ ქვეყანაში ჩასვლას გეგმავენ და საქართველოდან უკრაინაში, შემდეგ კი ყირგიზეთსა და მონღოლეთში მიემგზავრებიან.

დევიდ დრაიერმა განმარტა, რომ ახალი კინოფილმის პრემიერას დაესწრნენ და შესაძლებლობა მიეცათ შეხვედროდნენ ამომრჩეველს კალიფორნიის შტატიდან. მან იქვე დაამატა, რომ შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა: ენდი გარსიას, შერონ სტოუნს, დინ კეინს, რენი ჰარლინს და სხვებს.

ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერა გუშინ პარლამენტში სხვა კუთხითაც იყო აქტუალური იყო. კერძოდ, ბიუროს სხდომაზე „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე გია თორთლაძემ უმრავლსეობის წევრებს შეკითხვა დაუსვა. გია თორთლაძე „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერაზე ოპოზიციის წარმომადგენლების დაუპატიჟებლობის საკითხის გარკვევას შეეცადა.

— მინდა ბიუროს წევრებმა სწორად გამიგონ, რასაც ვიტყვი. საქართველოს ოკუპაცია გვაწუხებს ჩვენც, ისევე როგორც ნებისმიერ თქვენგანს. იმ დელეგაციაში, რომელიც ესწრებოდა ფილმის ჩვენებას არც ერთი ოპოზიციის წარმომადგენელი არ ვიყავით მიწვეულები და ეს შეიძლება აღიქმებოდეს შეურაცხყოფად, რადგან ოკუპაციის წინააღმდეგ არანაკლებ ვმუშაობთ, ვიდრე უმრავლესობის ზოგიერთი წევრი, — აღნიშნა გია თორთლაძემ.

ოპოზიციონერი დეპუტატის გამოსვლას პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მის მოსაზრებას იზიარებს.

— თუ ეს არის პარტიული ღონისძიება, გასაგებია, მაგრამ როდესაც ეს არის სახელმწიფო ღონისძიება, პარლამენტის ყველა წევრი უნდა იყოს მიწვეული, — აღნიშნა მაჭავარიანმა.

რაც შეეხება იმ კომისიას, რომელიც 26 მაისს განვითარებული მოვლენები უნდა შეისწავლოს, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი მოითხოვს. კერძოდ, გასულ კვირას ჯონდი ბაღათურიამ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო იმისათვის, რომ პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას. ამ მოთხოვნას ბაღათურიასთან ერთად მხოლოდ დეპუტატები: გიორგი ცაგარეიშვილი, კარლო კოპალიანი, პეტრე მამრაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე და თამაზ დიასამიძე შეუერთდნენ.

პარლამენტში დროებითი კომისიის შექმნას არ ეთანხმება საპარლამენტო უმრავლესობა. მათ თავისი პოზიცია გასულ კვირას უკვე დააფიქსირეს.

საქართველოს პარლამენტში კომისიის შექმნის შემთხვევაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მზად არის, მასში მონაწილეობა მიიღოს. ამის შესახებ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა დეპუტატმა გურამ ჩახვაძემ ჟურნალისტებს ამერიკელი კონგრესმენების მოსაზრების კომენტირებისას უთხრა. გურამ ჩახვაძე ამბობს, რომ გამოძიებისა და საპარლამენტო მოსმენების კულტურა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს და როდესაც 26 მაისის მსგავსი რამ ხდება, ბუნებრივია, კონგრესის რეაქცია იქნება.

— ამიტომ კონგრესმენის განცხადება ჩემთვის სავსებით გასაგებია. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში არის ერთი მომენტი — პარლამენტი ერთსულოვანი უნდა იყოს. თვითონ ოპოზიციაშიც ამ საკითხის შესახებ ერთი პირი უნდა იყოს, — განაცხადა ჩახვაძემ და დასძინა, რომ ედპ მზად არის კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს. თუმცა, ჩახვაძე ფიქრობს, რომ პარლამენტი მაინც უნდა დაველოდოს სახალხო დამცველის ანგარიშს.

— ეს მეტ იმპულს მისცემს იმას, რომ პარლამენტმა გადადგას ნაბიჯი, საპარლამენტო მოსმენები გამართოს და შესაბამისი კომისიის შექმნის საკითხი სერიოზულად დაისვას, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

პარლამენტში საგამოძიებო კომისია იმ შემთხვევაში შეიქმნება თუ ამას მოითხოვს პარლამენტის თავმჯდომარე, ფრაქცია და დეპუტატთა ერთი მეხუთედი, ანუ 30 დეპუტატი. ჯერჯერობით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მხოლოდ 6 დეპუტატი უერთდება. ეს რაოდენობა კი კომისიის შესაქმნელად საკმარისი არ არის.

# რუსეთი და ნატო ერთობლივ ანტიტერორისტულ საჰაერო წვრთნებს მართავენ

რადიო „რუსეთის ხმის“ ინფორმაციით, დღეს რუსეთმა და ნატომ უპრეცედენტო ერთობლივი ანტიტერორისტული საჰაერო წვრთნები, სახელწოდებით „ფხიზელი ცა 2011“ დაიწყო. მანევრები პოლონეთის საჰაერო სივრცეში და შავ ზღვაზე განხორციელდება, რომელშიც მონაწილეობას რუსეთის, პოლონეთისა და თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების პილოტები მიიღებენ. რუსეთის ნაციონალური ანტიტერორისტული კომიტეტის წარმომადგენლის დმიტრი პავლოვის განცხადებით, ერთობლივი საჰაერო ოპერაციები ნატო-რუსეთის საბჭოს ინიციატივით ტარდება.

— აღნიშნული ერთობლივი ანტი-ტერორისტული საჰაერო მანევრები ტარდება იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ 11 სექტემბრის მსგავსი ტერაქტები. ეს არის უსაფრთხოების ახალი სისტემა, რომელიც არეგულირებს რუსეთსა და ნატოს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებს საჰაერო უსაფრთხოების საკითხებში, — განაცხადა პავლოვმა. ერთობლივი ანტიტერორისტული წვრთნები 10 ივნისამდე გაგრძელდება.

**მედიანიუსი**

# აჭარაში „ლეიბორისტული პარტიის“ რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი დააკავეს

აჭარაში „ლეიბორისტული პარტიის“ რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს, დავით რობაქიძე პოლიციამ ბათუმში, ქუჩაში დააკავა და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა. „ლეიბორისტების“ განცხადებით, დავით რობაქიძის დაკავებასთან დაკავშირებით მათ არანაირი ვერსია არ გააჩნიათ და ამ ფაქტს ხელისუფლების მხრიდან პარტიაზე ზეწოლის მორიგი გამოვლინებად აფასებენ. პარტია დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს.

**ინტერპრესნიუსი**

# არის თუ არა უცენზურო სიტყვა „სააკაშვილი“

თეა მარხვაი ე

5 ივნისის საქართველოში დიდი დღე იყო. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ხელისუფლებისთვის იყო დიდი დღე. ამ დღეს თბილისში „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერა გაიმართა.

ამ პრემიერას მთელი ხელისუფლება დაესწრო. ნაციონალებმა ამ ფილმს დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს და მისი გადაღება ლამის ვარდების რევოლუციაზე მნიშვნელოვან მოვლენად მონათლეს. თან ეს ყველაფერი ისე ბედნიერად მიიღეს, თითქოს ფილმი საქართველოსთვის ტრაგიკულ მოვლენებზე არ იყოს გადაღებული.

ნაციონალებისგან განსხვავებით, ერის ერთი ნაწილი უარყოფითად შეხვდა ამ ფილმის გარშემო ამხელა აჟიოტაჟის ატეხვას. ეს გაუგებარი აღმოჩნდა კონსერვატორი ლაშა ჩხარტიშვილისთვის.



მან თავის თანამოაზრეებთან ერთად გადაწყვიტა ეს ფაქტი გაეპროტესტებინა. ლაშამ და მისმა მეგობრებმა რუსთაველის გამზირზე მოინდომეს აქციის მოწყობა.

საამისოდ „სასტავი“ კარგად მოემზადა. არა, რაგატკები და მოლოტოვის კოქტეილი არ ჰქონიათ, მათ უბრალოდ, პლაკატები ჰქონდათ. მშობლიურ სამართალდამცავებს არც ეს მოეწონათ. სტაცეს ხელი პრემიერის მოწინააღმდეგეებს და სადაც საჭიროა, იქ მიაბრძანეს.

სხვა დაკავებულებს სასამართლომ ფულადი ჯარიმა აკმარა, ლაშას კი ათდღიანი პატიმრობა შეუფარდეს.

დაპატიმრებულმა ჩხარტიშვილმა, ბუნებრივია, ენა არ გააჩერა და საგანგებო განცხადება გაავრცელა. გასაგები მიზეზების გამო მან ერს ეს განცხადებები პირადად ვერ გააცნო. ეს მისია მისმა ადვოკატმა ქეთი ბექაურმა გააცნო.

— 5 ივნისს მქონდა სურვილი, კიდევ ერთხელ გამომეხატა ჩემი პროტესტი სააკაშვილი-მერაბიშვილის კრიმინალური ტანდემის მიერ 26 მაისის მშვიდობიანი აქციის დაუნდობელი და სისხლიანი დარბევისა, ასევე უდანაშაულო ადამიანების ხოცვაჟლეტვის გამო. ჩემი მოქალაქეობრივი ვალის შესასრულებლად შევარჩიე სააკაშვილის მორიგი მრავალათეულმილიონიანი სამარცხვინო პიარაქციის განხორციელების დრო. საუბარია სააკაშვილის მიერ წაგებული ომის მოგებულად წარმოჩენის მიზნით, მათ შორის რუსული ფულის (ნაყოფია-თემურ ალასანია-გენერალოვის სახსრებით) გამოყენებით გადაღებული ფილმის (აგვისტოს ხუთი დღის) ჩვენება, რომელზეც პუტინის საყვარელი სტუმარი შერონ სტოუნიც იყო მოწვეული, — ნათქვამია განცხადებაში.

ჩხარტიშვილის თქმით, მას „სამართლიანი და კანონიერი პროტესტის“ გამოხატვის უფლება სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა „შსს-ს ვიგინდარა ხროვამ არ მისცა“.

— სასამართლოში გაირკვა, რომ მე სიტყვები „ძირს სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურა“ უცენზურო გამონათქვამად „ჩამითვალეს“ და სწორედ ეს „ბრალი“ წამიყენეს. ვაღიარებ, რომ მართლა ვიხმარე უცენზურო სიტყვა, კერძოდ, „სააკაშვილი“. მომავალში ყველანაირად შევეცდები მას მხოლოდ „მიკროდიქტატორი“ ვუწოდო! — ვკითხულობთ ჩხარტიშვილის განცხადებაში.

საინტერესოა რა შეფასებას მისცემს ამ ფაქტს ხარისხიანი ოპოზიცია. ასე ის ოპოზიციონერები უწოდებენ საკუთარ თავს, ვინც ხელისუფლებას საარჩევნო გარემოზე ებაასება.

გასაგებია, რომ სახალხო კრების აქცია თქვენს გემოვნებაში არ ჯდებოდა. თუმცა, გაუგებარია, რატომ არავინ მივიდა რუსთაველზე, როცა ჩვეულებრივ მოქალაქეებს სპეცრაზმი სასტიკად უსწორდებოდა. კარგით, ამასაც გავიგებთ, რადგანაც ეს ჩვეულებრივი მოქალაქეებიც იმ აქციაზე იდგნენ.

გაუგებარი ის არის, ლაშა ჩხარტიშვილთან დაკავშირებით რატომ არ ატყდა სერიოზული ხმაური. მას ისეთი არაფერი ჩაუდენია. არც ხელისუფლების შეცვლა დაუანონსებია, არც პუტინთან არის აუდიენციაზე ნამყოფი და არც აღლუმის ჩაშლა უცდია.

# რატომ წავიდა ნინო ბურჯანაძე კიევში

თეა მარხვაი ე

26 მაისიდან მოყოლებული პარლამენტის ყოფილი სპიკერი ხელისუფლებას მის დაპატიმრებას სთხოვს. წესით და რიგით ხელისუფლებას ის უკვე უნდა დაეკავებინა კიდევაც, რადგან მათივე მტკიცებით, ნასპიკერალი საქართველოში გადატრიალებას და ათას უბედურებას აპირებდა.

ხელისუფლება კი ამ ყველაფერს ბურჯანაძეს რატომღაც პატიობს. სერიოზული სასჯელისთვის ვერც მის მეუღლეს ბადრი ბიწაძეს იმეტებს. არადა, ეს დღეები სულ იმას გვიმტკიცებდნენ, ბიწაძე საგანგებო რაზმებს ქმნიდა, რაგატკებით რომ გადაეტრიალებინა ხელისუფლებაო.

ეს რაგატკები რატომღაც ვერსად აღმოაჩინეს. ამ პიარის აგორებისთვის ხელისუფლებამ უნდა ინამუსოს და დავით თევზაძეს მადლობა უძღვნას. გახსოვთ ალბათ, წლების წინ, ედუარდის დროს რომ უწოდებენ, საქართველოს რუსული ავიაცია შემოეჩვია.

ეს ჩვენი ცოდვით სავსე მიგები და სუები საქართველოს ტერიტორიას ბომბავდნენ და ბომბავდნენ. მიზეზი ჩეჩენი ტერორისტები იყვნენ, რომლებიც, როგორც ამბობენ, მაშინ საქართველოს აფარებდნენ თავს.

ისე ვიდრე თევზაძეზე და რაგატკებზე გადავალთ, ერთ-ორ სიტყვას ჩეჩნებზეც მოგახსენებთ. ჩეჩენმა ტერორისტებმა რომ საქართველო კორიდორად აქციებს, ამაზე წინა კვირას თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა იჟღურტულა რუსულ მედიასთან. რამდენად გამართლებულია მისი მხრიდან ასეთი განცხადებების გაკეთება, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ნაციონალების მხრიდან ამის გამო ლოყების ჩამოხოკვაც უადგილობაა.

2001-2002 წლებში ამჟამად ნაცელიტაში მყოფნი სწორედ რუსულ მედიას ეუბნებოდნენ, რომ შევარდნაძე ტერორისტებს თავშესაფარს აძლევდა. ისიც გვახსოვს, როგორ შეიცხადეს, როცა ედუარდმა რუსლან გილაევზე თქვა განათლებული ადამიანიაო.

ასე რომ, ჩეჩენ ტერორისტებზე საუბრის გამო ირაკლი ოქრუაშვილის მოღალატედ გამოცხადება უადგილოა, მით უმეტეს, იმ ხალხის მხრიდან, რომლებიც წლების წინ თავად აკეთებდნენ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებებს.

ახლა რაც შეეხება თევზაძესა და რაგატკასა. იმ ავსა და შავ დროში რუსული ავიაცია გვბომბავდა და გვბომბავდა. ქართული მხარე რუსულ მოიერიშეებს ვერაფრით უსწორდებოდა. ამის გამო თავდაცვის მაშინდელ მინისტრს ბევრჯერ უთხრეს საყვედური.ერთხელ ისიც გამწარდა და იკითხა: რითი ჩამოვაგდო ეს თვითმფრინავები, რაგატკებითო.

ეს რაგატკები ბევრმა დაივიწყა, მაგრამ სათანადო სამსახურებმა გაიხსენეს და ერთი შეხედვით უწყინარი ნივთები ბიწაძის ხელში მრისხანე იარაღად იქცა.

რაგატკების გარდა „ბადრი ჩეგევარას“ არსენალში ხელისუფლებამ მოლოტოვის კოქტეილიც აღმოაჩინა. ეს კოქტეილი რატომღაც არავინ არ გამოიყენა. ერთმა ჭკვიანმა ნაციონალმა ეს საინტერესოდ განმარტა. მისი თქმით, იმ ღამეს წვიმა იყო და ამიტომ ვერ გამოიყენეს მოლოტოვის კოქტეილიო. აი, რაგატკების სროლაში როგორ შეუშალა ხელი „ბადრიონებს“ წვიმამ, იმ ჭკვიანმა ნაციონალმა ვერ ახსნა.

ამ საკითხებზე კიდევ დიდ ხანს იქნებოდა ალიაქოთი, ჩვენს ბედზე „აგვისტოს 5 დღე“ რომ არ გამოჩენილიყო. ამ დღეებში თბილისში ამ ფილმის პრემიერა გაიმართა და ნაციონალები მთლიანად შერონ სტოუნზე გადაერთნენ. ვიღას ახსოვდა შენი ბადრი და ნინო.

ისე რა მაგის პასუხია და შერონ სტოუნი საქართველოში მოსკოვიდან ჩამოვიდა; ეს მშვენიერი მანდილოსანი ამბობს, რომ ძალიან უყვარს რუსეთი და ყველაფერი, რაც რუსულია.

ამაზე ნაციონალები რატომღაც ხმას არ იღებენ. თუმცა გააჩნია, მომავალში რა განცხადებას გააკეთებს მეგავარსკვლავი. საკმარისია რაიმე არ მოეწონოთ და მერე ნახეთ, როგორ განიხილოს მისი და პუტინის შეხვედრები ნუგზარ წიკლაურმა. აღარაფერს ვამბობთ სვიმონ მასხარაშვილზე, რომლის შეფასებებიც, უბრალოდ რომ ვთქვათ, გლიჯავს.

შერონი უკვე წავიდა, ასე რომ, ხელისუფლებას ახლა ისევ ბურჯანაძე-ბიწაძის წყვილზე მოუწევთ კონცენტრაცია. თუმცა, ან ისინი სად არიან. „ბადრი-ჩეგევარას“ ადგილსამყოფელი კაციშვილმა არ იცის. არადა, კაცს 100 ათასი აქვს გადასახდელი.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის მისი ადგილსამყოფელი, მაგრამ ხმას არ იღებს. რატომ არ იღებენ ხმას, ეს უკვე ცალკე თემაა.

ვიდრე მშობლიური პოლიცია დუმს, ბიწაძის გამო რუსული და სომხური მედია ძალიან ნერვიულობენ. სომხური მედიის მტკიცებით, პარლამენტის ექს-სპიკერის მეუღლე სომხეთში იმყოფება.

ეს ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებამ არ დაადასტურა. მათი თქმით, რაგატკებიანი ლაშქრის მეთაურს საქართველოს ტერიტორია არ დაუტოვებია.

სომხური მედია კი ამის შემდეგაც ჯიუტად ამტკიცებს, რომ ჩვენებური რევოლუციონერი მათთან იმყოფება.

ამასთან დაკავშირებით დაზუსტებით არაფერს არ ამბობს



სომხეთის ხელისუფლება, სომხეთის უშიშროების სამსახური ბიწაძის მათ ქვეყანაში ყოფნის ფაქტს არც უარყოფს და არც ადასტურებს.

მის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ აკეთებს ნინო ბურჯანაძეც. ამბობს, რომ არ იცის სად არის ამჯერად მისი მეუღლე. ისე რომც იცოდეს, საეჭვოა, ამასთან დაკავშირებით რამე ეთქვა.

მეუღლის ადგილსამყოფელის შესახებ მას არაფერს უთქვამს, სამაგიეროდ, ხელისუფლებაზე თქვა ბევრი რამე.

სააკაშვილს პირობა მისცა, სულ მარტო რომ დავრჩე, ბრძოლას მაინც გავაგრძელებო. უფრო ადრე კი განაცხადა, ამ ხელისუფლებას მაინც ამოვთხრი, ოღონდ მართლაო.

განცხადებებს ის დღესაც გააკეთებს და მისი განცხადებები წიკლაურს, მასხარაშვილს და ნაცელიტას ახალი კომენტარების გაკეთებისკენ უბიძგებს.

მათ ჯერ იმის დადგენა მოუწევთ, თუ რატომ წავიდა ბურჯანაძე უკრაინაში. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე და სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი ნინო ბურჯანაძე გუშინ უკრაინის დედაქალაქ კიევში გაემგზავრა.

პრესსამსახურის ინფორმაციით, ბურჯანაძეს აქვს პრესკონფერენციების გამართვის შეთავაზება ევროპის რამდენიმე ქვეყანაში და ის ამ შეთავაზების გამოყენებას აპირებს, „რათა მსოფლიომ მიიღოს ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაცია 26 მაისამდე და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, იმ ნეობოლშევიკურ ტერორთან დაკავშირებით, რომელიც მძვინვარებს საქართველოში“.

— ხელისუფლება ისედაც ვალდებულია ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უსაფრთხოების დაცვაზე, ისედაც ხარჯავენ სახელმწიფო ფულს და ჩუმად მაყოლებენ ვიზიტების დროს უშიშროების თანამშრომლებს. ასე რომ, შეუძლიათ, ახლა მაინც დაიცვან კანონი და ღიად გამომაყოლონ ეს ადამიანები. ვიზიტის დროს თავს ბევრად დაცულად ვიგრძნობ, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ვინც არ იცით, შეგახსენებთ, რომ სპიკერი ფაქტიურად დაცვის გარეშე დარჩა. სამართალდამცავებმა მისი პირადი დაცვის წევრები 26 მაისს დააკავეს.

26 მაისთან დაკავშირებით ნინო ბურჯანაძეს უკრაინაში ბევრი რამე ექნება სათქმელი. მის ნათქვამზე კი უკვე ჩვენი ხელისუფლება გააკეთებს კომენტარებს. დღეს ისინი იმის გარკვევას ცდილობდნენ, თუ რატომ წავიდა ბურჯანაძე უკრაინაში.

მან გუშინ კიევში საგანგებო ბრიფინგი გამართა და თქვა, რომ მისი ოჯახის წევრები საფრთხეში არიან. ბურჯანაძემ კატეგორიულად უარყო, რომ ის გადატრიალებას აპირებდა. მან თქვა, რომ რუსეთის სპეც-სამსახურებთან არანაირი კავშირი არა აქვს.

ამასთან იმაზეც მიანიშნა, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობები უნდა მოაგვაროს.

— მიმაჩნია, რომ საქართველოს ისე, როგორც არცერთ სხვა სახელმწიფოს მსოფლიოში, სჭირდება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, რადგან ჩვენ მეზობელი სახელმწიფოები ვართ. მინიმუმ იმას მაინც უნდა მივაღწიოთ, რომ საომარი მოქმედებები ჩვენს ქვეყნებს შორის არასოდეს განმეორდეს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

უკრაინელმა ჟურნალისტები ქართველი პოლიტიკოსის რუსეთში ხშირი სტუმრობის მიზეზებითაც დაინტერესდნენ. რაზეც ნინო ბურჯანაძემ უპასუხა, რომ იგი პრორუსული პოლიტიკოსი ნამდვილად არ არის და მოსკოვშიც არც თუ ისე ხშირად ჩადის.

— მე პროქართული პოლიტიკოსი ვარ, რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველოსთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ჰქონდეს სტრატეგიული ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობა დასავლეთის ქვეყნებთან. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის დასავლურ სტრუქტურებთან სწრაფი ინტეგრაცია. თუმცა, ამავდროულად, ჩვენი ქვეყნისთვის პრინციპულად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა რუსეთთან კარგი ურთიერთობის ქონა,— აღნიშნა ექსსპიკერმა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, მიუხედავად სააკაშვილის ანტირუსული რიტორიკისა, სწორედ მისი მმართველობის პერიოდში იყო შესაძლებელი რუსეთს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პოზიციები დაებრუნებინა.

— საბოლოო ჯამში, 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე ისევ აქვს სამხედრო ბაზები, საქართველოს ნატოში შესვლა კი გაურკვეველი ვადით გადაიდო. საქართველო ნატოში ვერ შევა, სანამ თბილისის ცენტრიდან 20 წუთში ჯერ ისევ დგანან რუსული ტანკები და სანამ კონფლიქტი არ დარეგულირდება, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

კითხვები ბურჯანაძესთან დაკავშირებით საზოგადოებასაც ბლომად აქვს. პირველ რიგში იმის გარკვევა აინტერესებთ, თუ რატომ არ აპატიმრებს ხელისუფლება ექსსპიკერს.

სხვა თუ არაფერი, ნაცელიტა ამტკიცებს, რომ ექსსპიკერი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდა. გადატრიალების მომწყობებს, როგორც წესი, გადატრიალებასგადარჩენილი ხელისუფლება აკავებს.

ექსსპიკერს კი ხელისუფლება ამას ვერ უბედავს. როგორც ჩანს, ბურჯანაძე ან არ აწყობდა გადატრიალებას, ან სხვა რამე არის ჩაფიქრებული. ანდა შეიძლება ხელისუფლებას ბურჯანაძის ეშინია.

მან რომ ბევრი რამე იცის, ეს ყველაზე უკვეთ ხელისუფლებას მოეხსენება. ის ორი წლის განმავლობაში იყო პარლამენტის სპიკერი და ორჯერ ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას. იყო უშიშროების საბჭოს წევრი და მას ბევრი ინფორმაცია ექნება შემონახული, მათ შორის დოკუმენტებიც.

იგივე შეიძლება ითქვას ბადრი ბიწაძეზე. ეს ადამიანი წლების განმავლობაში საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი, ცოტა ხანი კი გენპროკურორის მოადგილეც იყო.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ბიწაძე სასაზღვრო ძალების შეფად დაინიშნა. „პახოდუ“ ის ჩვენი ვანო მერაბიშვილის მოადგილეც იყო. მას, როგორც ამბობენ, ბევრი საინტერესო ცნობა აქვს.

კომპრომატების მარაგი მან აგვისტოს ომის დროს განსაკუთრებით გაამდიდრა. იმ დროს საქართველოდან ჩინოვნიკები მასობრივად გარბოდნენ საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით.

საქართველოს საზღვრებზე მაშინ რიგები იდგა... ასეთი რიგები ბარსელონა-მანჩესტერის თამაშზე შესაძენ ბილეთებზეც არ მდგარა. საზღვრებზე კამერებია დამონტაჟებული. ამ კამერებმა ჩვენი გაქცეული ჩინოსნები, მათი ქონება და ოჯახები კარგად დააფიქსირა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მას ეს მასალები სათუთად აქვს შენახული.

ხელისუფლებას რომ ბიწაძის კომპრომატების ეშინია, ეს 2008 წლის შემოდგომაზეც გამოჩნდა. იმ პერიოდში ბიწაძე ჯერ კიდევ შს მინისტრის მოადგილე იყო. მისი მეუღლე კი უკვე ოპოზიციაში იკიდებდა ფეხს.

ერთ მშვენიერ დღეს ქალაქში ხმა გავარდა, ბიწაძე საგანგებო განცხადების გაკეთებას აპირებსო. უნდა გენახათ, ამ ანონსმა ჩვენ დეპუტატებს როგორ დააკარგვინა ფერი. ხალხი, რომლებსაც ლოყებიდან გემოგლობინი გადმოსდიოდა, კირშესხმულივით გათეთრდა.

ყველას ეგონა, რომ სასაზღვრო უწყების შეფი საქართველოდან გაქცეული ჩინოვნიკების ვინაობას დაასახელებდა. მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ამ ბრიფინგამდე 1 საათით ადრე პაატა დავითაიამ გამართა პრესკონფერენცია.

ვიცე-სპიკერმა ერს იმ დეპუტატების სია გააცნო, რომლებმაც აგვისტოს ცხელ დღეებში საქართველოდან „დაგაზეს“. თუმცა, დავითაიას ვერსიით, ისინი საქართველოდან მტრის შიშით სულაც არ გაქცეულან. ჩვენი ტკბილი და მურაბა კანონმდებლები საქართველოდან პეკინში გაფრენილან ოლიმპიადაზე დასასწრებად.

ჩავიდნენ თუ არა ეს დეპუტატები პეკინში, აღარავის უკითხავს, რადგანაც ბიწაძეს გაქცეული ხალხის სია არ წაუკითხავს. მან უბრალოდ თანამდებობიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება.

მედიასთან საუბარში ბიწაძემ არაერთხელ თქვა, რომ მას ბევრი საინტერესო ცნობა აქვს. თუმცა მათი გამოქვეყნებისგან ყოველთვის თავს იკავებდა. საინტერესოა, რა იცის მან ასეთი, რომ ხელისუფლება მის დაკავებას ვერ რისკავს. თუმცა, იქნებ გარისკავდა, მაგრამ მის ადგილსამყოფელს ვერ მიაგნო.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

## ამერიკელ კონგრესმენებს საქართველოში მხოლოდ სააკაშვილის ხროვა სჭირდებათ

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია აპროტესტებს 5 ივნისს რუსთაველზე გამართულ ცეკვა-თამაშს, უცხოელი სტუმრების ასე პომპეზურად დახვედრას აპროტესტებს და ხელისუფლებას ახსენებს, რომ 26 მაისის მოვლენებიდან გამომდინარე დაუშვებელია ასე მოკლე პერიოდში ასეთი ცეკვა-თამაშიც გამართვა, როცა იგივე მოედანზე არის მშვიდობიან მომიტინგეთა მსხვერპლი.



შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ თბილისში რენი ჰარლინის ფილმის „აგვისტოს 5 დღე“ პრემიერა საკმაოდ პომპეზურად გაიმართა. როგორც შემდგომ ითქვა, საქველმოქმედო ვახშამზე 1,5 მლნ ლარი შეიკრიბა, რომელიც აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულებს მოხმარდებათ.

როგორც პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ეს უპრეცედენტო მკრეხელობაა, რადგან რუსთაველის გამზირს ჯერ დაღუპულთა სისხლი არ შეშრობია“.

— 26 მაისის სისხლიანი დარბევისა და მკვლელობების მთავარსარდალ სააკაშვილს ადგილზე მფარველად ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია მოევლინა დევიდ პრაისისა და სხვათა სახით. ამჯერად ჰოლივუდთან ერთად. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ამერიკელ კონგრესმენეს საქართველოში მხოლოდ სააკაშვილის ხროვა სჭირდებათ, ხოლო ხალხი მათთვის მიზნის მიღწევის საშუალებაა, — განაცხადა კახა ძაგანიამ.

გუშინვე ოპოზიციური პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კითხვით მიმართა „აგვისტოს 5 დღის“ მთავარი როლის შემსრულებელ ენდი გარსიას, როგორ მოახერხა გორში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ფორთხვის კადრების გამეორება.

— მაინტერესებს, როგორ გადაიღეს ეს სამარცხვინო კადრები. კასკადიორი ხომ არ დასჭირდათ? იმ სამარცხვინო ფორთხვას სააკაშვილის მეტი ვერავინ გაიმეორებდა, — აღნიშნა კახა ძაგანიამ.

## დეპუტატები თელავში 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებზე ისაუბრებენ

თელავის უნივერსიტეტში ხვალ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებზე შეხვედრას გამართავს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან“ აცნობეს, შეხვედრას კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილთან და სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელთან ერთად „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ჩახვაძე დაესწრება. ჩახვაძე 2012 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებთან დაკავშირებით თელავის მოსახლეობას საკუთარ მოსაზრებებს გააცნობს. შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ექნებათ, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების შესახებ საკუთარი იდეები და მოსაზრებები გამოთქვან.

ინტერპრესნიუსი

# ყველა ხერხს მივმართავთ, რომ სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

*— ბატონო ზვიად, საზოგადოება ინტერესით ადევნებდა თვალს რვიანის მუშაობას, ცნობილი იყო, რომ ხელისუფლებისთვის მიცემული ვადა 31 მაისს იწურებოდა, რა ხდება დღეს, ხომ არ გაგიმართავთ რაიმე სახის მოლაპარაკება ხელისუფლებასთან და როგორია რვიანის მომავალი სტრატეგია?*

— არავითარი მოლაპარაკება და მცდელობა ჩვენი მხრიდან ხელისუფლების მისამართით აღარ ყოფილა. სავსებით საკმარისია ის რამდენიმე თვე, დაახლოებით 6 თვე, რომელიც ჩვენ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესში გავატარეთ. ეს დრო იყო სრულიად საკმარისი და ჩვენ ვაცხადებდით, რომ რვიანი მაისის შემდეგ გადადის სრულიად სხვა ეტაპზე და გეგმავს სხვა ღონისძიებებს.

*— კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები გაქვთ დაგეგმილი?*

— მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, თუ რა სახის ღონისძიებები გვაქვს დაგეგმილი, ეს არის მეტი მხარდამჭერის მოპოვება და ჩართვა ამ პროცესებში და სწორედ ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს პოლიტიკური კამპანია. ეს არის გეგმა, რომლის განხორციელებასაც დაიწყებს პოლიტიკური რვიანი. კონკრეტულად თუ როგორი ფორმის იქნება, იქნება ხელმოწერების შეგროვება, პლებისციტის ჩატარება, უცხოურ ორგანიზაციებთან უფრო სხვა ტემპით და ხარისხით მუშაობის გაგრძელება, პიარღონისძიებების დაგეგმვა, მოსახლეობასთან შეხვედრა მთელი ზაფხულის განმავლობაში, ეს არის უკვე ცალ-ცალკე დეტალები, რომლის განხორციელებაც საზოგადოების ფართო ფენებთან ერთად მოხდება. ეს არის არა მხოლოდ პოლიტიკური რვიანის მოთხოვნა, არამედ ეს უნდა გადავაქციოთ მთელი საქართველოს მოთხოვნად.

*— ხელისუფლებამ ეს ვადა ოქტომბრამდე გადაწია, თუ წავა ამაზე რვიანი და ოქტომბერში თუ დაუჯდება ხელისუფლებას მოლაპარაკების მაგიდასთან?*

— ხელისუფლებამ ჯერ დაასახელა მარტი, როდესაც მას უნდა მოეცა კონკრეტული პასუხები კონკრეტულ წინადადებებზე. პრეზენტაცია უნდა გაემართა და ისევე წარმოედგინა თავისი პოზიციები, როგორც ეს პოლიტიკურმა რვიანმა გააკეთა. შემდეგ იყო მეორე ვადად მაისი დასახელებული, როდესაც ხელისუფლებას წერილობით პასუხის გასაცემად ვალდებულება ჰქონდა აღებული, ახლა საუბრობენ ოქტომბერზე. ოქტომბერი როცა მოვა, შეიძლება დაიწყონ ლაპარაკი კვლავ გაზაფხულზე. დღეს ხელისუფლება და ნაციონალური მოძრაობა არის როგორც დაკიდებული კომპიუტერი, რომელმაც მიიღო მისთვის გაურკვეველი ბრძანებები და შემდეგ სრული გაშეშების მდგომარეობა დაემართა. ასეთ მდგომარეობაშია დღეს ნაციონალური მოძრაობა, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილს თვითონ არა აქვს გადაწყვეტილი, როგორი იქნება თავისი პოლიტიკური მომავალი. აქედან გამომდინარე, თვითონ ვერ გადაუწყვეტია, ჯერ თუ როგორი ტიპის საარჩევნო დათმობებზე შეუძლია მას წასვლა. ამიტომ არის მცდელობა, იყოს რვიანზე მუდმივი ზეწოლა, სწორედ გაჭიანურების მხრივ და იქნებ დაიშალოს პოლიტიკური რვიანი და ამით ერთი თავის ტკივილი მოეხსნათ. ამისთვის ძალიან კარგად იყენებს ხელისუფლება სხვადასხვა სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების, ექსპერტების, ჟურნალისტების თუ სხვათა თავდასხმებს, რომელიც მუდმივად მოდის პოლიტიკურ რვიანზე. თუმცა ამის მიუხედავად ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ რასაც ვაკეთებთ, ეს არის სწორი და მნიშვნელოვანი პროექტი, ამიტომ ხელისუფლების იმედებს, რომ რვიანი დაიღლება, რა თქმა უნდა, ვერ გავახარებთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა, ჩვენი ძალიან მჭიდრო ინტენსიური თანამშრომლობის რეჟიმი და ამ რეჟიმში ვაპირებთ პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებას.



*— პოლიტიკურ აქტივობებში საპროტესტო აქციებიც იგულისხმება თუ ეს გამორიცხულია?*

— აქტივობებში არაფერი არ გამოირიცხება. რაც არის კონსტიტუციით ნებადართული, რა საკითხებიც და რა მეთოდებიც არის პოლიტიკური ბრძოლის, ყველაფრისთვის არის პოლიტიკური რვიანი მზად. ერთი საკითხი არის, რომელზედაც ხშირად აპელირებენ, რომ რვიანში არის უთანხმოება და ასე შემდეგ. მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ პოლიტიკურ რვიანში არის სხვადასხვა მოსაზრებები, არიან სხვადასხვა ტემპერამენტის, ბიოგრაფიის, სხვადასხვა მსოფლმხედველობის პარტიები და აქედან გამომდინარე, ჩვენ საკმაოდ გვჭირდება მუშაობა და შრომა იმისათვის, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები ერთმანეთთან შევაჯეროთ. ამდენი ხნის განმავლობაში ჯერ არ მომხდარა ისეთი რამ, რომ ასეთი ტიპის შეჯერება ვერ განხორციელებულიყოს, ამიტომ ჩვენ ძალიან ოპტიმისტურად და რეალურადაც ვუყურებთ პოლიტიკური ბრძოლის დასასრულს. ეს აუცილებლად დასრულდება სამართლიანი არჩევნებით სადაც ერთხელ მაინც ამ ქვეყანაში 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ კიდევ უნდა მოვახერხოთ ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით.

*— ბატონო ზვიად, თქვენთვისაც ცნობილია, რომ საკმაოდ ბევრმა ლიდერმა დატოვა ქართული პარტია. ითქვა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებმა და ქმედებებმა განაპირობა ეს ყველაფერიო. თქვენ რას ფიქრობთ, ამ ფაქტთან დაკავშირებით?*

— ეს მათი შიდა საქმეა და თავის საქმე თვითონ იციან. ძალიან ხმაურიანი განცხადებებით დაიწყო ამ პარტიამ და ახლა მათ აქვთ რაღაც ერთგვარი კრიზისის პერიოდი. რა თქმა უნდა, ოქრუაშვილის ჩამოვალ-არჩამოვალმა ამაში ძალიან დიდი როლი ითამაშა. მაგრამ მე მინდა განვაცხადო — ყველას აქვს კონსტიტუციური უფლება, იყოს ამა თუ იმ პარტიაში, ამიტომ მათ გადაწყვეტილებების რევიზიას მე არ ვაპირებ. ბევრჯერ მითქვამს, რომ მე არა ვარ ქართული პარტიის სპეციალისტი, რომ ვიყო დაინტერესებული და ძალიან ჩახედული, თუ რა ხდება მათ სამზარეულოში. ეს მათი საქმეა, არ არიან გამოუცდელი ხალხი და თავიანთ თავს თვითონ მიხედავენ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ყველას თავისი გზა აქვს.

*— რაც შეეხება რვიანს, როგორია ამ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია, მათაც იცოდნენ, რომ ხელისუფლებას ვადა 31 მაისამდე ჰქონდა და რვიანისთვის კონკრეტული პასუხი უნდა მიეცა...*

— ცალსახა მხარდაჭერა აქვს პოლიტიკურ რვიანს. ცალსახა მხარდაჭერა აქვს იმ პროცესში, რომელიც ოფიციალურად შარშანდელი ნოემბრის შემდეგ მიმდინარეობს. ეს ჩვენი ბრძოლა აუცილებლად დასრულდება იმ გამარჯვებით, როგორც დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც მრგვალმა მაგიდამ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი წინააღმდეგობები ჰქონდა ეროვნული მოძრაობის დანარჩენი ლიდერების მხრიდან, მან მიაღწია კომუნისტური რეჟიმის პირობებში თავისუფალი არჩევნების დანიშვნას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

*— გამოდის, რომ დიალოგის რეჟიმი დასრულებულია და ხელისუფლებას მოლაპარაკების მაგიდასთან აღარ დაუჯდებით?*

— ჩვენ ხელისუფლების მხრიდან მივიღებთ ამ კამპანიის მსვლელობის პროცესში რაღაც ნაბიჯს, რომელიც ღირს განხილვად, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ მაგიდიდან ადგომას არ ვაპირებთ. ეს არის ისეთი პოლიტიკური პროცესი, რომელშიც არ მოსულა — ახლა წამოვხტი, გავიქეცი და ქუჩიდან დედას გიტირებთ. ჩვენ კომპლექსურად ყველა ფორმას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ამ საზოგადოებამ, ჩვენმა ქვეყანამ ერთხელ მაინც მიიღოს სამართლიანი არჩევნები, ისეთი არჩევნები, სადაც თანაბარი სასტარტო პირობები ექნება ყველა პოლიტიკურ სუბიექტს. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი, ამიტომ ხაზგასმით მინდა განვაცხადო, როდესაც პოლიტიკური აქტიურობა გვექნება ჩვენი საზოგადოებასთან, ამ დროს ხელისუფლება თუ რაიმე ტიპის თვისობრივ ცვლილებებს შემოგვთავაზებს, ჩვენ ამ ცვლილებებს განვიხილავთ.

*— ითქვა ისიც, რომ ხელისუფლებასთან აქციები და გადადექის ძახილი არ გაჭრისო...*

— მე ვფიქრობ, რომ ამ ბოლო სამწუხარო მოვლენებმა კიდევ ერთხელ მოგვცა არგუმენტი ყველას იმისათვის, რომ ჯოხებით ქუჩაში გასვლა და ხელისუფლების გარეკვა, როგორც ეს ხატოვნად წარმოუდგენია ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს, ცოტათი უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ეს ვინმეს ეგონა. ეს ყველაფერი ჩვენ ვნახეთ 2007 წლის აქციების დროს, 2009 წლის აქციების დროს და არ იყო მაინცდამაინც საჭირო ადამიანების მსხვერპლი და ადამიანების დასახიჩრება იმისათვის, რომ სააკაშვილი უარს არ იტყოდა თავის საპრეზიდენტო სკამზე და არ გაიქცეოდა შიშით გულგახეთქილი ამ ქვეყნიდან. ამას დიდი დანახვა არ სჭირდებოდა. თუმცა მე მინდა ვუთხრა ყველა ადამიანს, ვინც ამ საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა, რომ მათი ემოცია, მათი პროტესტი არის სრულიად ლეგიტიმური, ყველა მოთხოვნაში ვართ სოლიდარულები ეროვნული საბჭოს წევრები, მაგრამ მოთხოვნების განხორციელების ფორმებთან ჩვენ გვაქვს სრულიად სხვა მოსაზრებები.

# სააკაშვილი რეპრესიებს ისევ განაგრძობს

შორენა კოწოწაშვილი

მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია აპროტესტებს 5 ივნისს თბილისში ლაშა ჩხარტიშვილის, ირინა ბათიაშვილის და მაია ბათიაშვილის უკანონო დაკავებას.



როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, კონსერვატორული პარტიის წევრი ლაშა ჩხარტიშვილი, მაია და ირინა ბათიაშვილები რამდენიმე პირთან ერთად სამართალდამცველებმა მას შემდეგ დააკავეს, რაც ფილმის — „აგვისტოს 5 დღე“ პრემიერის ფონზე საპროტესტო აქციის მოწყობა სცადეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ლაშა ჩხარტიშვილს 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა, ხოლო მაია და ირინა ბათიაშვილები 400 ლარით დააჯარიმა. აღსანიშნავია ისიც, რომ მეუღლის და შვილის სასამართლო პროცესზე მოსული სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი სასამართლომ 500 ლარით დააჯარიმა. ბათიაშვილის დაჯარიმების მიზეზი კი სასამართლო პროცესზე დაგვიანებით მისვლა და მანდატურებთან შეკამათება გახდა.

— სამწუხაროდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ მორიგი პოლიტიკური განაჩენი გამოიტანა და სამივე დაკავებული პირი ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. ბოლო წლების განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც პოლიციის მიერ აქციის დროს დაკავებული რომელიმე მოქალაქე გაემართლებინოს სასამართლოს. ამით წახალისებული პოლიცია უკონტროლოდ იყენებს ძალას მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ, — ნათქვამია ეკა ბესელიას განცხადებაში.

უფლებადამცველი აპროტესტებს და გმობს ძალადობის დაკანონებას და პოლიციურ რეჟიმს. ადმინისტრაციული წესით დასჯილებს კი პოლიტიკური რეპრესიების მორიგ მსხვერპლად მოიხსენიებს.

— სააკაშვილის ხელისუფლება აგრძელებს რეპრესიებს და პოლიტიკურ დევნას განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების მიმართ, — აცხადებს მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია და საერთაშორისო საზოგადოებას მიმართავს, შეისწავლონ ეს ფაქტები და რეაგირება მოახდინონ საერთაშორისო მექანიზმებით.

## კასპში გამწვანების სამუშაოები მიმდინარეობს

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ადგილობრივი მოსახლეობის დასვენებისთვის საუკეთესო გარემოს შექმნის მიზნით, ქალაქის ბაღებისა და სკვერების გამწვანებას განაგრძობს.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს გრინსერვისმა„ უკვე შემოიტანა მწვანე ბალახის საფარი და 170 ძირი უხვყვავილიანი ქართული ვარდი და გამწვანების სამუშაოები დაიწყო.

— გიორგი სააკაძის სახელობის სკვერში, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს და ყველაზე დიდი სკვერია, მოსახლეობის დიდი ნაწილი იყრის თავს. სკვერის განახლების სამუშაოები თითქმის ყოველ წელს ხორციელდება. ამჯერადაც ვარდის ძირების უმეტესი რაოდენობა კვლავ აქ დაირგვება, ნაწილი კი სხვა სკვერებში გადანაწილდება. ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ბავშვები და ახალგაზრდები საღამოს სააკაძის სკვერში ატარებენ. ამიტომ ვცდილობთ მათ ჯანსაღი ატმოსფერო შევუქმნათ და ქალაქის იერსახეც გავაუმჯობესოთ, — აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ნონიაშვილმა.

გასულ წელს ქალაქის ცენტრალური მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩა მოწესრიგდა. იქ მიწისქვეშა კომუნიკაციები შეიცვალა, ასფალტის ახალი საფარი დაიგო, მოწესრიგდა ქუჩის საფეხმავლოებიც (ტროტუარი). შემოტანილი იქნა მწვანე ბალახის საფარიც (266 მ2), და აღნიშნული ქუჩის მარჯვენა მხარის საფეხმავლოზე დაიგო.

ინტერპრესნიუსი

## „ქართული დასის“ წარმომადგენლები გონიოს ციხეს ესტუმრნენ

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბალათურია და პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები დღეს, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მხარდაჭერით, გონიოს ციხეს ესტუმრნენ.

პროექტის „იცნობდე საკუთარ სამშობლოს“ ფარგლებში ახალგაზრდა დასელებმა გონიოს ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს. ახალგაზრდების თქმით, საკუთარი სამშობლოს მოვლა-პატრონობა და ისტორიული ძეგლების გაფრთხილება მათი პირდაპირი მოვალეობაა.

პროექტი „იცნობდე საკუთარ სამშობლოს“ ერთი წელია მიმდინარეობს. მის ფარგლებში ახალგაზრდა დასელებმა ათამდე ტაძარი და ძველი კულტურული ძეგლები მოინახულეს. მსგავსი ტიპის ღონისძიებების გატარებას ისინი მომავალშიც გეგმავენ.

ინტერპრესნიუსი

# ალიარა თუ არა ვანუატუმ აფხაზეთი?

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციული ორშაბათის პრესკონფერენცია გაიმართა. მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ სამინისტროს მიმდინარე კვირის გეგმებზე ისაუბრა.

ასევე საუბარი შეეხო ჟენევის მოლაპარაკებებს. ჟენევაში მოლაპარაკებების მე-16 რაუნდი გაიმართება.



ქართული მხარე მოლაპარაკებებზე ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ აპირებს ყურადღების გამახვილებას.

ჟენევის მოლაპარაკების მე-16 რაუნდზე მთავარი საკითხი, რომელსაც ქართული მხარე დააყენებს, ეს არის ბოლო პერიოდში საოკუპაციო ხაზთან მომხდარი ინციდენტები, რომელიც საქართველოს ხელისუფლების ინფორმაციით სულ უფრო და უფრო ხშირდება.

ასევე ქართული მხარის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იქნება 18 მაისს საჩხერეში რუსი სამხედროების მიერ ორი ქართველი ახალგაზრდის დაჭრის ფაქტის გამოძიების საკითხის დაყენება და დამნაშავეების დასჯის მოთხოვნა. ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომელსაც ქართული დელეგაცია დააყენებს ჟენევის მოლაპარაკებებში.

— ბევრი სხვადასხვა საკითხი არის დღის წესრიგით გათვალისწინებული. თუმცა, ქართული მხარისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და რაზეც იქნება ყურადღება გამახვილებული, ეს არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე ადამიანის უფლებების დარღვევები. ასევე გახშირებული ფაქტები, რომელიც ადამიანების უსაფრთხოებას ეხება. ის გახშირებული ინციდენტები, რომელთანაც ყოველდღიურად გვაქვს შეხება ბოლო პერიოდში. შესაბამისად ეს იქნება მთავარი საკითხი, რომელზეც აქცენტი გაკეთდება. ასევე დღის წესრიგით არის გათვალისწინებული და აუცილებლად დადგება ქართული მხარის მიერ მიმდინარე წლის 18 მაისს საჩხერის რაიონში ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებული წარმომადგენლების მიერ ორი ახალგაზრდა ქართველის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების საკითხი, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ნინო კალანდაძემ ისაუბრა, ეს ეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის ფედერაციის გაწევრიანების საკითხს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარეობს, შვეიცარიული მხარის მიერ დროებით გადაიდო.

ისევ გაურკვეველია, დაუზუსტებელია თარიღი, როდის გაიმართება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწვერიანების შესახებ მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი.

როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც რუსეთ-ამერიკის გადატვირთვის პოლიტიკის ფონზე მიმდინარეობს. თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის არაერთი წარმომადგენლის განცხადებით, ისინი არ ჩაერევიან აღნიშნულ მოლაპარაკებებში და ეს საკითხი რუსეთ-საქართველომ თავად უნდა გადაწყვიტოს სწორედ მოლაპარაკებების გზით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისევ უცვლელია ქართული მხარის პოზიცია, რის სანაცვლოდ შეიძლება საქართველომ მხარი დაუჭიროს რუსეთის ფედერაციას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

ნინო კალანდაძის ინფორმაციით, 8-9 ივნისს საქართველო-გერმანიას შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება.

კალანდაძის განცხადებით, კონსულტაციებს ყოფილი ელჩი საქართველოში და რეგიონზე პასუხისმგებელი პირი პატრიცია ფლორი უხელმძღვანელებს.

გერმანიასთან დატვირთულ სამუშაო გრაფიკზე ამახვილებს ყურადღებას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ნინო კალანდაძემ კომენტარი გრიგორი კარასინის განცხადებაზეც გააკეთა და მას ცინიკური უწოდა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებით, საქართველოს პრობლემები სხვა მეზობელ სახელმწიფოებთანაც აქვს.

ტრადიციულ პრესკონფერენციაზე კალანდაძემ განაცხადა, რომ საქართველოს მეზობლებთან პრობლემები არ გააჩნია. ერთადერთი მეზობელი, რომელთანაც რეგიონში გადაუჭრელი პრობლემები არსებობს, ეს რუსეთია.

კალანდაძის თქმით, როგორც აღვნიშნეთ, კარასინის განცხადება ცინიკურია, რადგან ძალიან სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი სწორედ რუსული საოკუპაციო ძალის მხრიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

— რაც შეეხება იმ ტერაქტებს, რომელიც განხორციელდა და რომელთა წინასწარი აღმოფხვრა მოხდა, საბედნიეროდ, საქართველოს ხელისუფლების მიერ, მათ უკან დადასტურებულად დგას სწორედ რუსული ძალა, შესაბამისად, ძალიან არასერიოზული და არასასიამოვნო მოსასმენია ამ ტიპის განცხადებები, — აღნიშნა კალანდაძემ.

მისივე თქმით, ეს არის მცდელობა, რომ რუსეთმა ყურადღება გადაიტანოს და ბრალდების ბურთი საქართველოსკენ გადმოაგოროს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა „ინტერფასთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტების ორგანიზებაში რუსეთის დადანაშაულებით თბილისი მეზობლებთან არსებული პრობლემებისაგან თავის დაღწევას ცდილობს.

კარასინის თქმით, შთაბეჭდილება რჩება, რომ ქართული მხარე ჯაშუშურ მანიას აღვივებს და არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ შიდა მდგომარეობასთან მიმართებაში.

— სამწუხაროა, რომ რეალური პრობლემების მოგვარების მაგივრად, რომელიც საქართველოს მეგობრებთან აქვს, თბილისი მდგომარეობის გამწვავების კურსს აგრძელებს, — აცხადებს გრიგორი კარასინი ინტერვიუში.

8-9 ივნისს საქართველოს მიროსლავ ლაიჩაგი ეწვევა, ევროპულ საგარეო ქმედებათა სპეციალური წარმომადგენელი.

კალანდაძის განცხადებით, ლაიჩაგის ვიზიტი მნიშვნელოვანია, რადგან ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახური არის ევროკავშირის ახალი სტრუქტურა, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ შეიქმნა.

— ლაიჩაგის ვიზიტი, როგორც რეგიონის წარმომადგენლის, ამ სამსახურის ფარგლებში არის რეგიონში პირველი და ამიტომ მნიშვნელოვანი. ეს უწყება რეგიონით არის დაინტერესებული და ევროკომისარს ქეთრინ ეშტონს ექვემდებარება, — განაცხადა კალანდაძემ.

ის დასძენს, რომ აღნიშნულ ვიზიტს ქართული მხარე განიხილავს, როგორც ევროკავშირის პოლიტიკურ მხარდაჭერას და მის დაინტერესებას რეგიონის მიმართ.

კიდევ ერთი განცხადება, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისროში გუშინ გაკეთდა, ვანუატუს მიერ თითქოსდა აფხაზეთის აღიარებას ეხება.

— არც ერთ ეტაპზე ვანუატუს მიერ აფხაზეთის აღიარების შესახებ ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ვანუატუს ოფიციალურად არ განუცხადებია, რომ ის რაიმე ფორმით აფხაზეთის აღიარებას გეგმავდა ან გეგმას, — ამბობს კალანდაძე.

ვანუატუს ელჩმა გაეროში დონალდ ტალპოკასმა ვანუატუს მიერ აფხაზეთის აღიარება გასულ კვირას უარყო.

გავრცელებული ინფორმაციით, ვანუატუს ელჩი გაეროში საქართველოს მისიის ხელმძღვანელ კახა ლომაიას დაუკავშირდა და აცნობა, რომ ის ახსნა-განმარტებას გააკეთებდა გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ თითქოს ვანუატუმ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

## საქართველოში დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი იმყოფება

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი საერთაშორისო უსაფრთხოების სტრატეგიის საკითხებში ჯერალდ ჰოვარტი საქართველოში იმყოფება.

ჯერალდ ჰოვარტის საქართველოში ვიზიტის ძირითად მიზანს, ქვეყნებს შორის თავდაცვის სფეროში ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის მინისტრი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ მიიღო. მხარეებმა რეგიონში არსებულ უსაფრთხოების მდგომარეობაზე, ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციასა და თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეფორმებზე იმსჯელეს.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ჯერალდ ჰოვარტმა ასევე შეხვედრა გამართა თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილე ნოდარ ხარშილაძესთან და გაერთიანებული შტაბისა და სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან. იგი ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის ცენტრსაც ესტუმრა და პროგრამის მენეჯერსა და მონაწილეებს გაესაუბრა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯერალდ ჰოვარტმა მედიის წარმომადგენლებისთვის განცხადება გააკეთა. „მოხარული ვარ საქართველოში ვიზიტით. მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა ბრიტანეთის მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე. ბრიტანეთი ნატოში გაწევრიანებისთვის საჭირო რეფორმების გასატარებლად კვლავ განაგრძობს საქართველოს დახმარებას. დღეს სიამოვნებით მინდა განვაცხადო, რომ ბრიტანეთიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამუშაოდ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში მრჩეველი გამოიგზავნება. საქართველო რჩება ბრიტანეთის მნიშვნელოვან მეგობრად. ჩვენ ერთმანეთის მხარდამხარ ვიბრძვით ავლანეთში და მე პირადად მინდა მადლობა ვუთხრა ქართველ ხალხს იმ მსხვერპლისთვის, რომლებსაც ისინი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად იღებენ",-განაცხადა ბრიტანელმა მინისტრმა.

დიდი ბრიტანეთის მხარესთან თანამშრომლობის ძირითად მიმართულებას განათლების სფერო წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ქართველი ინსტრუქტორები საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების საკითხებზე მომზადებას ყოველწლიურად გადიან ქ.ვიშკოვოს (ჩეხეთის რესპუბლიკა) სამხედრო აკადემიაში. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს ასევე შეუძლიათ დიდ ბრიტანეთში გაიარონ სამეთაურო-საშტაბო, ინგლისური ენისა და საერთაშორისო ურთიერთობების კურსები.

**ინტერპრესნიუსი**

## რა მოსთხოვა ბაიდენმა სააკაშვილს

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო" საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და აშშ-ს ვიცე პრეზიდენტ ჯო ბაიდენის შეხვედრის არაოფიციალურ დეტალებზე საუბრობს.

მათი მტკიცებით, ინფორმირებული წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ სხვა საკითხებთან ერთად რომში მიხეილ სააკაშვილის და აშშ ს ვიცე პრეზიდენტის ჯო ბაიდენის შეხვედრაზე განხილულ იქნა 2 საკითხი:

საქართველოს ხელისუფლება უპირობოდ დაეთანხმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა აშშ ს ადმინისტრაციის მოთხოვნაზე, რომ გააორმაგოს ავღანეთში საქართველოს კონტიგენტი.

2011 წლის ივლისიდან აშშ იწყებს ავღანეთიდან საკუთარი სამხედრო კონტიგენტის გაყვანას და სხვა ქვეყნების სამხედროებით მათ ჩანაცვლებას. ეს საკითხი დღეს ვაშინგტონში განსაკუთრებით აქტუალურია.

**პრაიმ-ნიუსი**

## საქართველოში IV კლასის მოსწავლეთა ეროვნული შეფასებები ტარდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 6 და 7 ივნისს მთელი საქართველოს მასშტაბით, IV კლასის მოსწავლეთა ეროვნულ შეფასებებს ატარებს.

შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე მათემატიკაში ტარდება. ეროვნულ შეფასებებში საქართველოს 100-ზე მეტი საჯარო სკოლის 2 500 მოსწავლე მონაწილეობს. ეროვნული შეფასების პროცესში მოსწავლეებთან ერთად ჩართულები არიან შესაბამისი საგნების მასწავლებლები და სკოლების დირექტორები.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, ეროვნული შეფასება ფართომასშტაბიანი კვლევაა, რომლის მიზანია დადგინდეს, თუ რა ცოდნასა და უნარებს ფლობენ კონკრეტული კლასების მოსწავლეები კონკრეტულ საგანში და რამდენად აღწევენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. ასეთი ტიპის კვლევის საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, სკოლების დირექტორებისთვის, მშობლებისთვის, სახელმძღვანელოების ავტორებისთვის და განათლების ექსპერტებისთვის.

**პრაიმ-ნიუსი**

## თბილისში პროფესიული სწავლების საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა

თბილისის მერმა გიგი უგულავამ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თბილისის პროფესიული სწავლების საინფორმაციო ცენტრი გახსნეს.

ცენტრი ტექნიკური უნივერსიტეტის შენობაშია განლაგებული და უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი.

პროფესიული სწავლების საინფორმაციო ცენტრი დაინტერესებულ პირებს პროფესიული განათლების მისაღებად ყველა საჭირო ინფორმაციას აწვდის და მომავალ სტუდენტებს შესაბამის კოლეჯებში სასურველ პროგრამებზე და პროფესიებზე არეგისტრირებს. საინფორმაციო ცენტრში ასევე არის დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა, სადაც პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ და დასაქმდნენ.

სამინისტროს ინიციატივით, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა დასახმარებლად ქვეყნის მასშტაბით სამი ასეთი საინფორმაციო ცენტრი შეიქმნა: თბილისში, ქობულეთსა და ქუთაისში. ეს ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, საჭირო ინვენტარითა და მონაცემთა ბაზებით. ცენტრში მუშაობენ მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრები.

პროფესიული სწავლების საინფორმაციო ცენტრები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული სწავლების სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად შეიქმნა. საქართველოში პროფესიული სწავლების განვითარება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

— პროფესიულ კოლეჯებში მიღებული განათლებით სტუდენტებს დასაქმების რეალური საშუალება ეძლევათ. პროფესიულ კოლეჯებში დაინტერესებული პირები მომსახურების, ტურიზმისა და სამშენებლო სფეროებში ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს სწავლობენ, — აცხადებენ განათლების სამინისტროში.

**პრაიმ-ნიუსი**

## სოფელ ახაშენში მიწისქვეშა საცავი აღმოაჩინეს

გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში XVII-XVIII საუკუნეების ბუნებრივი მიწისქვეშა საცავი აღმოაჩინეს, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განყოფილების სპეციალისტის თამაზ მარკოზაშვილმა განაცხადა, ბუნებრივი საცავი სავარაუდოდ სამების მოქმედ ტაძარს ეკუთვნის.

— ბუნებრივი საცავი 7 მეტრის სიღრმის არის და შიგნით მისი ფართი 15 კვადრატული მეტრია. საცავში კიბეები ჩადის. იგი ქართული კვადრატული აგურით არის ნაშენი კირის დუღაბზე. კედლებზე დატანებული აქვს დიდი ნიშები, ხოლო ჭერზე კი სავენტილაციო არხი აქვს. შიგნით სავარაუდოდ სხვადასხვა პროდუქტები ინახებოდა, ღვინო და ა. შ. ასევე აღსანიშნავია ნახევარწრიული კამარა, რომელიც მთლიანად შელესილია. ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ იგი საცავად გამოიყენებოდა. ძეგლი სავარაუდოდ იმ პერიოდს ეკუთვნის, რა პერიოდშიც თვითონ სამების მოქმედი ტაძარი აშენდა, — აღნიშნა მარკოზაშვილმა.

**მედიანიუსი**

## ცესკო ჯოენის ცენტრში სისხლის ჩაბარების აქციას გამართავს

ცენტრალური საარჩევნო კომისია დღეს ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრში სისხლის ჩაბარების აქციას გამართავს.

ცესკო-ს ინფორმაციით, აქციაში მონაწილეობას მიიღებენ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს სისხლის ბანკის მარაგის შევსებაში.

როგორც ცესკო-ში აცხადებენ, რაც უფრო მეტი მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას მსგავსი ტიპის აქციაში, გაცილებით მარტივი იქნება საჭიროების შემთხვევაში ადამიანებისთვის დროული დახმარების აღმოჩენა.

**ინტერპრესნიუსი**

## ხობში წმინდა ნინოს უძველესი ფრესკა აღმოაჩინეს

ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში მკვლევარებმა წმინდა ნინოს უძველესი ფრესკა აღმოაჩინეს.

ტაძარში, ჩრდილო-დასავლეთის სვეტის სამხრეთის წახნაგზე აღმოჩენილი ფრესკა დაზიანებულია და მასზე მხოლოდ წარწერა იკითხება.

როგორც „მედიანიუსს" პალეოგრაფმა თემურ ჯოჯუამ განუცხადა, ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში აღმოჩენილ ფრესკაზე ორი ანგელოზის გამოსახულება და ფიგურა ჩანს, რომელიც წაშლილია და არ იკითხება. პალეოგრაფის თქმით, მათ თავზე განთავსებულია წითელი საღებავით შესრულებული, სამსტრიქონიანი განმარტებითი წარწერა, რომელიც ასომთავრულით იკითხება.

პროფესორმა იუზა ხუსკივაძემ ფრესკის წარწერა XVI საუკუნით დაათარიღა.

ეს ფრესკა ყველაზე ძველია დასავლეთ საქართველოს ტაძრებში აღმოჩენილი წმინდა ნინოს ფრესკებიდან.

ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი მდინარე ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ხობიდან 3 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ნოჯიხევის ტერიტორიაზე მდებარეობს.

**მედიანიუსი**

# თავისუფლება ჯაზშია

ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერლის ქეთი ფარესაშვილის პროექტი „თავისუფლება ჯაზში" დაწყო. მისი პრეზენტაცია კაფე „კალაში" შედგა და საგანგებო კონცერტით გაიხსნა. ღონისძიებას ორგანიზატორებმა „თაობები ჯაზში" უწოდეს. მათთვის, ვისაც ჯაზი განსაკუთრებულად უყვარს, კონცერტი „კალაში" 9 ივნისსაც ჩატარდება, ხოლო პროექტის დასკვნითი საღამო 11 ივნისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება. პროექტის ავტორი ჯაზ შემსრულებელი თავად ქეთი ფარესაშვილია.

11 ივნისს ქეთი ფარესაშვილისა და ახალგაზრდა მუსიკოსების კონცერტს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს. საღამოზე შესრულდება კლასიკური და თანამედროვე ჯაზური კომპოზიციები. ქეთი ფარესაშვილი ანტონიო კარლოს ჟონიმის, ფრე ბონგოსტოსა და ტანია მარიას კომპოზიციებს შეასრულებს. კონცერტში მასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა შემსრულებლები, დამწყები მუსიკოსები. პროექტის მიზანია მათი შემოქმედების ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა, ჯაზური მუსიკის ხელშეწყობა და მუსიკის ამ ჟანრში ახალი ტენდენციების გამოკვეთა.

ჯაზისა და პოპულარული მუსიკის კონცერტი გაიმართება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალურ სარდაფშიც. მასში მონაწილეობას მიიღებენ ილიაუნის მუსიკის ცენტრის თანამედროვე სიმღერის კურსისა და გოსპელ-გუნდის სტუდენტები, ცენტრის ლექტორების ირინე ებრალიძის, თამთა გვარლიანის და ირაკლი კვანჭიანის ხელმძღვანელობით. წარმოდგენილი იქნება გოსპელი, სოული, ჯაზი, როკი და პოპ-მუსიკა როგორც სოლო, ისე გუნდური შესრულებით. კონცერტზე დასწრება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეეძლება. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განმარტეს, აღნიშნულ კონცერტში მონაწილე სტუდენტები სრულებით განსხვავებული პროფესიების წარმომადგენლები არიან, ისინი ერთად მუსიკის სიყვარულმა შეკრიბა. თავის მხრივ, მუსიკის ცენტრი ცდილობს, შესთავაზოს მათ არა მარტო საინტერესო, არამედ ნებისმიერი მათგანისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი პროგრამები და კურსები, რომელთაც მუსიკის შესაბამისი სფეროების წამყვანი ექსპერტები ასწავლიან. მუსიკის ცენტრის შემდგომი ამოცანაა 2012-13 სასწავლო წლიდან ძირითადი პროგრამის წარმატებულად ამუშავება, რაც უნივერსიტეტის საკონცერტო ცხოვრებას კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებს.

# ქართულ-შვეიცარიული პროექტი დასრულდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში ქართულ-შვეიცარიული პროექტი სახელწოდებით „შვეიცარია ხვდება საქართველოს" საგანგებო კონცერტით დასრულდა. კონცერტში მონაწილეობას იღებდა ცნობილი შვეიცარიული კვარტეტი „ენსემბლე დიფერენსიას" თანამედროვე მუსიკის აღიარებული ფლეიტისტის, კომპოზიტორისა და მკვლევარის კონრად შტაიმანის ხელმძღვანელობით. პროექტის ავტორი გერმანიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი ჯაზ შემსრულებელი რევაზ კიკნაძე გახლდათ. კონცერტზე შესრულდა რევაზ კიკნაძის ნაწარმოები „ზარი 4 ბლოკ ფლეიტისთვის", რომელიც თენგიზ მირზაშვილის ხსოვნას ეძღვნება. პროექტის მხარდაჭერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ითავა.

ცნობილი შვეიცარიული კვარტეტის წევრები თანამდროვე მუსიკის ვარსკვლავები არიან. ანსამბლმა სახელი ძველი ანტიკური, შუასაუკუნეებისა და ტრადიციულ-ხალხური მუსიკის კვლევითა და შესრულებით გაითქვა. ბოლო დროს მან საკუთარ რეპერტუარს ქართული ფოლკლორული მუსიკაც შემატა. პროექტის „შვეიცარია ხვდება საქართველოს" ფარგლებში უკვე შედგა კონცერტები თელავსა და თბილისში, ასევე ჩატარდა ვორკშოპი პროფესიონალებისათვის ინსტრუმენტარიუმის შესახებ.

ქართულ-შვეიცარიული პროექტის განხორციელების პარალელურად უნგრეთისა და პოლონეთის რესპუბლიკების საელჩოებმა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში ფერენც ლისტის და ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებების კონცერტი გამართეს. პოლონელი და უნგრელი კომპოზიტორების საღამომდე კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალური სკოლის სასარგებლოდ გამართული საქველმოქმედო კონცერტი მოეწყო, სადაც სოლისტები იყვნენ ქეთევან სეფაშვილი (საქართველო-ავსტრია) — ფორტეპიანო, თამარ ჩიტაძე (საქართველო-შვეიცარია) — ფორტეპიანო, თომას შინდლი (ავსტრია) — დასარტყამი ინსტრუმენტი, სიმონ ფლაცი (ავსტრია) — დასარტყამი ინსტრუმენტი. საკონცერტო პროგრამაში გაერთიანებული იყო მოცარტის, შუბერტის, ლუტოსლავსკის, ბარტოკის, რაველის ნაწარმოებები.

პოლონურ-უნგრული საღამო კი ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო. კონცერტი მიეძღვნა ამ ორი ქვეყნის ისტორიაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენას, კერძოდ, 2011 წლის პირველ ნახევარში უნგრეთი, ამავე წლის მეორე ნახევარში კი პოლონეთი ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობენ. როგორც კონცერტის ორგანიზატორებმა განაცხადეს, პოლონურ-უნგრულ მეგობრობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამ მეგობრობის სიმბოლოდ იქცა ორივე ქვეყანაში ცნობილი გამონათქვამი: „პოლონელი და უნგრელი — ორნი ძმანი ჭირშიც და ლხინშიც". სიმბოლურია, რომ მე-XIV საუკუნეში პოლონეთს უნგრული დინასტია მართავდა, მე-XVI საუკუნეში კი უნგრეთს პოლონეთის სამეფოს იაგელონების დინასტია ედგა სათავეში. ამ მეგობრობის სიმბოლოა აგრეთვე დიდი კომპოზიტორების შოპენისა და ლისტის მეგობრობა. ფერენც ლისტი შოპენის პირველი ბიოგრაფიის ავტორია. კონცერტზე ორივე კომპოზიტორის ნაწარმოებები ახალგაზრდა თაობის ქართველმა პიანისტებმა თამარ ლიჩელმა და ირმა გიგანმა შეასრულეს.

# კუკავა და გაჩეჩილაძე ერთიანდებიან

ქეთი ხომერიკი

„ეს არის ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ხალხის გამარჯვებით დასრულდება. ჩვენ გვაქვს ძალა, ძალა ხალხშია და ჩვენ გავიმარჯვებთ", — აცხადებდნენ, „სახალხო კრების" წარმომადგენლები და მათი ფავორიტი ნინო ბურჯანაძე, თუმცა, როგორც ჩანს, კრებას არც ძალა ჰქონია და გადამწყვეტი ბრძოლაც ვისი გამარჯვებით დასრულდა, ყველამ კარგად დაინახა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე 21 მაისის აქციების დაწყებამდე ამაყად აცხადებდა, რომ „სახალხო კრებას" დეტალურად გაწერილი, კონკრეტული სამოქმედო გეგმა ჰქონდა, თუმცა გეგმის გამხელისგან თავს იკავებდა და აღნიშნავდა: — მოწინააღმდეგეს არ უნდა მისცე იარაღად წინასწარ გახსნილი შენი გეგმაო. ისე, სადღაც მართალიც კი იყო, თუმცა ბურჯანაძემ კრების ეს კარგად გაწერილი გეგმა ბოლო წუთამდე მკაცრად გაასაიდუმლოვა, რითაც არა ხელისუფლება, არამედ საზოგადოება და ოპოზიციური სპექტრი დააბნია. ნაწილობრივ, ამიტომაც ვერ ჰპოვა საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერა და რამდენიმე ოპოზიციურმა ძალამაც კრებასთან გაერთიანებაზე უარი ამ მიზეზით თქვა.

დღეს ყველა, დიდი თუ პატარა აღნიშნავს, რომ სახალხო კრებას სამოქმედო გეგმა საერთოდაც არ ჰქონდა, მეტიც, ამის გამო საყვედურობენ და აკრიტიკებენ კიდეც მათ, თუმცა ეს ადამიანები ცდებიან. „ახალი თაობის" სარწმუნო წყაროს თქმით, სახალხო კრებას დეტალურად გაწერილი გეგმა, ნამდვილად, ჰქონდა, თუმცა გეგმის სისრულეში მოყვანა და ამის მიხედვით მოქმედება ვერ შეძლეს, რადგან აქციაზე თავი ხალხის დიდმა რაოდენობამ არ მოიყარა. მათი გეგმა კი მასაზე იყო გათვლილი, თუ აქციაზე ზღვა ხალხი მივიდოდა, კრება გეგმის მიხედვით იმოქმედებდა, თუმცა რა ზღვა ხალხზეა საუბარი მაშინ, როცა 21 მაისს თავისუფლების მოედანზე დაახლოებით 3000 ადამიანმა ძლივს მოიყარა თავი. რატომ იყო კრება დარწმუნებული, რომ აქციაზე უამრავი ხალხი მივიდოდა, ცოტა არ იყოს და გაუგებარია. მართალია, ხალხის დიდ ნაწილს სააკაშვილის რეჟიმის დასრულება სურს, თუმცა აქ ბევრი სხვა ფაქტორი მუშაობდა და ვის ვის და ეს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს უნდა გაეთვალისწინებინა, თუმცა რატომღაც ვერ გათვალა. მოკლედ, კრებას ხალხის დიდმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა და შესაბამისად, ბურჯანაძეს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სარწმუნო წყაროს თქმით, ბურჯანაძემ აქციაზე ხალხის მცირე რაოდენობა რომ დაინახა, გადაირია. 22 მაისს კი უკვე ისტერიკაში იყო და ეუბნებოდა თავის თანამებრძოლებს, ახლა, რაღა ვქნათ, სად არის ხალხი, რა გზას დავადგეთო. უპარტიო ადამიანებმა კი არა, თავისივე მომხრეებმა, კრების მხარდამჭერებმა და იგივე შეფიცულების წევრებმაც კი „გადააგდეს" ბურჯანაძე და შეთანხმებისამებრ არ მოიქცნენ, ანუ აქციაზე არ მივიდნენ. თავისივე მომხრეების აქციაზე არმისვლის ძირითადი მიზეზი ერთი რამ იყო. კონფიდენციალური წყაროს თქმით, დღიდან შეფიცულების შექმნისა ხელისუფლებამ მათი მკაცრი კონტროლი დაიწყო, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო. მაშინ არათუ კუდს და სოდს, არამედ ყველა რაიონის პოლიციის უფროსს დავალებული ერთი რამ ჰქონდა — თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები შეფიცულების დევნა, კონტროლი და გადაბირება. ზოგი დააშინეს, ზოგიც მიეყიდა მათ და გადაიბირეს, ზოგიც გააფრთხილეს — სახლში იჯექი და აქციაზე არ მიხვიდე, თორემ ნარკოტიკულ ნივთიერებას ჩაგიდებთ და ციხეში გიკრავთ თავსო და დაემორჩილა ძალოვნებს და ა. შ. ეს რაც შეეხება უშუალოდ შეფიცულებს. როგორც ჩანს, მერაბიშვილის უწყებამ კრების დანარჩენი მხარდამჭერების დაშინება და პროცესებიდან გათიშვაც შეძლო და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — აქციაზე მისული თითო-ოროლა მხარდამჭერი. ბურჯანაძე გაოგნებული ყოფილა, კი მაგრამ, ჩვენი მხარდამჭერები სადღა არიანო. მოკლედ, კრების გეგმები ხალხის რაოდენობამ შეცვალა, მეტიც, ჩაშალა. იკითხავთ, რატომ იყო ბურჯანაძე დარწმუნებული, რომ მისი მომხრეების გარდა აქციაზე უამრავი ადამიანი მივიდოდა? წყაროს თქმით, ეს ქალბატონი ზედმეტად თავდაჯერებულია და მაშინ ილუზიებშიც კი იყო. ის დარწმუნებული იყო, ჩემზე თუ არ ამოსდის ხალხს მზე და მთვარე, გაფრინდაშვილ-ესაძეს იმხელა პატივს სცემენ, რომ აქციაზე ხალხის ტევა არ იქნებაო, თუმცა აქაც მწარედ შეცდა. რაც შეეხება გეგმას, წყაროს მტკიცებით (ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ. ავტ), სახალხო კრების გასაიდუმლოებული გეგმა ასეთი ყოფილა. რამდენიმესაათიანი აქცია და ხელისუფლებისადმი 24-საათიანი ულტიმატუმის წაყენება, მოთხოვნით მიხეილ სააკაშვილმა დაკავებული თანამდებობა დატოვოს. ნაციონალების უარის შემთხვევაში კრება საკრებულოს შენობაში შესვლას აპირებდა. აქცი-



ებამდე რამდენიმე დღით ადრე აღნიშნავდა კიდეც ბურჯანაძე, რომ კრება აქციის დაწყებიდან რამდენიმე საათში კონკრეტულ მოქმედებებზე გადავიდოდა. აი, ამის განხორციელებაში აქციაზე წარმოდგენილმა ხალხის რაოდენობამ შეუშალა ხელი. როგორც გითხარით, 22 მაისს ბურჯანაძე სრულ ისტერიკაში ყოფილა და თანაგუნდელებისთვის უთქვამს, ჩამოურეკეთ პარტიებს, მოიყვანეთ, იქნებ რამე გვეშველოს და ხალხი მათი მოსვლის შემდეგ მაინც შემოგვიერთდესო.

ბურჯანაძეს ფსონი ეროვნულ ფორუმზე, თავის ნათესავ, ნათლიმირონ სანიკიძეზე დაუდია, სასწრაფოდ მომგვარეთ გუბაზიო. მის მსგავსად განერვიულებული თანამებრძოლები მაშინვე ფორუმის ლიდერებთან შესახვედრად გავარდნილან და რამდენიმე საათის განმავლობაში მათ დარწმუნებას და დაყოლიებას ცდილობდნენ, თუმცა ვერ მოახერხეს. ფორუმელების პასუხი ასეთი ყოფილა, რომ შემოგიერთდეთ და გამოვეყოთ რვიანს, ხომ უნდა გვილირდესო, გვილირსბ კი, მაგრამ გვეპატიჟებით და იმასაც არ გვეუბნებით, რის გაკეთებას აპირებთო, ანუ როგორია თქვენი გეგმა, არ გვეუბნებით, არ გვიმხელთო. აქციას შემოვუერთდეთ და მერე ვარკვიოთ, რის გაკეთებას აპირებთ და როგორ ვიმოქმედოთო, უკითხავთ ფორუმელებს, თუმცა ბურჯანაძის თანაგუნდელებს პასუხი ვერ გაუციათ მათთვის. რა პასუხს გასცემდნენ იმაზე, რაც თავადაც არ იცოდნენ? სადღა იყო გეგმა, გეგმა ფორუმს კი არა, მათაც უნდოდათ, თუმცა, სად იყო... ამის მიუხედავად, ფორუმს ფიქრისთვის ორი დღე უთხოვია და მათი საბოლოო პასუხი რაც იყო, კი ჩანს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა კრებამ 25 მაისამდე კერის საზოგადოებრივ მაუწყებელთან შენარჩუნება, 25 დღე ყველაფერი გაირკვეოდა, სურათი დაიდებოდა, ანუ ან ხალხი გამოვიდოდა აქციაზე და კონკრეტულ მოქმედებებზე გადავიდოდნენ, ან არადა, 25-ში სანქცია ეწურებოდათ, 26 მაისს აღლუმი უნდა ჩაეტარებინა ხელისუფლებას და ძალოვნების ხელით აქციას დაშლიდა. წყარო ქართული პარტიის ფაქტორსაც შეეხო და გვითხრა: 22 მაისს ბურჯანაძე ქართული პარტიის ლიდერების აქციაზე მისვლას ერთის მხრივ, სიხარულით შეხვდა, რადგან ხალხის რაოდენობის სიმცირის გამო სასოწარკვეთილი იყო და იმედი მიეცა, თუმცა რომ დაფიქრებულა, მიმხვდარა, რომ ოქრუაშვილის პარტიასთან საერთო გეგმით მოქმედება ხელს ერთი მარტივი მიზეზის გამო არ აძლევდა. უფიქრია, შეიძლება ოქროს თანაგუნდელები გახდნენ პროცესის ლიდერები, გამარჯვების შემთხვევაში აქ მათი წვლილი დიდი იქნება, ხალხი მათი მადლობელიც იქნება, რაც მე არანაირად არ მაწყობსო და ბურჯანაძეს მიზეზად, არ ვიცი, რა გზით უნდა ჩამოვიდეს ოქრუაშვილი, ამიტომ მათთან ვერ გავერთიანდებიო, დაუხვევია და მსგავს განცხადებებსაც ამიტომ აკეთებდა. ეს ქალი ისეთი ამბიციურია, რომ უნდოდა ერთადერთი ლიდერი თავად ყოფილიყო და მადლობებიც ხალხს მხოლოდ მისთვის ეხადა. აღარ იცოდა, როგორ მოეცილებინა თავიდან აქციაზე მისული ქართული პარტიის ლიდერები, პირდაპირ იმის თქმა, რომ ხალხის გვერდით არ დადგეთ და წადითო, არ უნდოდა და აქ, როგორც გითხარით, ათასნაირი ხრიკებს მიმართა. თავისი თანაგუნდელებისთვის უთქვამს ამათ უთხარით, რომ თუ უნდათ პროცესში მონაწილეობა, მაშინ ოქრუაშვილს გაემიჯნონო. თავად უთხარიო, უთქვამთ თანაგუნდელებს. კიწმარიშვილს სუბარისთვის არა, მაგრამ გაჩეჩილაძისთვის კი უთქვამს ბურჯანაძეს ეს, თუმცა, წყარო, სამწუხაროდ, ვერ გვიკონკრეტებს, რა პასუხი გაუცია გაჩეჩილაძეს. ასე იყო თუ ისე, ბურჯანაძემ გადაწყვიტა, რომ ქართული პარტია გვერდით არ დაეყენებინა, იმის მიუხედავად, რომ პროცესს მათი მხარდაჭერა წაადგებოდა და ხალხის რაოდენობა გაიზრდებოდა. დიდად არც ენდობოდა ქართულ პარტიას, თუმცა ესეც რომ არა, ასე რატომაც გადაწყვიტა უკვე გითხარით.

კიწმარიშვილი აბსოლუტურად გულ-



წრფელი იყო, ის ორი დღის განმავლობაში, ნამდვილად, ცდილობდა ბურჯანაძეს დაყოლიებას, თუმცა ნინომ ის არ გაიკარა, მათი მისამართით კრიტიკული განცხადებების კეთებაც კი დაიწყო, მეტიც, როცა პარტია პროცესიდან გავიდა ისინი მოღალატეებადაც კი გამოაცხადა, ირწმუნება წყარო. ბოლოს კი მოხდა ის, რაც მოხდა. წყაროს თქმით, დარბევამდე რამდენიმე საათით ადრე ბურჯანაძე ამბობდა, ხალხის სახლებში გაშვებას, მირჩევნია დაგვშალონ და ამ მიზეზით

მორჩეს ეს ყველაფერიო. ხალხი იმას მაინც იტყვის, რომ ბოლომდე ვიბრძოდიო. აბა, ახლა ხალხი სახლში, რომ გავუშვა ამიმხედრდებაო, მათ 25 ნოემბერი ისედაც ძლივს დაივიწყესო. ანუ ბურჯანაძე შეგნებულად წავიდა ამ ნაბიჯზე, ერთი სულიც კი ჰქონდა, რომ აქცია დასრულებულიყო, რადგან პროცესი ჩამქრალი იყო და 500 კაცის ამარა ხელისუფლებას ვერ შეცვლიდა. თუმცა წყარო იმასაც აკონკრეტებს, რომ ბურჯანაძეს ერთი წამითაც არ უფიქრია, რომ ხელისუფლება მსგავსი სისასტიკით გაუსწორდებოდა მომიტინგეებს, ამას, ნამდვილად, არ ელოდა. და რატომ არ ელოდა, სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმისგან ეს რატომ იყო გამორიცხული ვერ მეტყვით? თვითონ რა, სხვა ლიდერების და ხალხისგან განსხვავებით სპეცრაზმელის დუბინკა არ მოხვედრია, თუმცა როგორ მოხვდებოდა, დაცვამ ესკორტი ლამის ტრიბუნაზე შემოაყენა და თავიანთი პატრონი გაიტაცა. შემდეგ რაც მოხდა, თქვენც იცით, პირსისხლიანი ხელისუფლების და ალასანიას დავესესხები უპასუხიმგებლო ლიდერების ქმედების გამო ყველაზე მეტად გაჭირვებული ხალხი დაზარალდა, მეტიც, ზოგი გარდაიცვალა და ზოგიც შოკიდან დღემდე ვერ გამოსულა, გვითხრა წყარომ. და კიდევ ერთი, მოდით, არ ვიყოთ მთლად გულიბრყვილოები და არ დავიჯეროთ, რომ ბურჯანაძემ ის თანხა, რომელიც აქციებს მოხმარდა სახლიდან გამოიტანა, ან ბანკიდან კრედიტი აიღო და ეს ყველაფერი ასე დააფინანსა. მოგეხსენებათ, კომიტეტების შექმნა, ხალხის რეგიონებიდან ჩამოყვანა და ა.შ. გარკვეულ ფინანსებთან იყო დაკავშირებული. და რამდენიც არ უნდა იძახოს ბურჯანაძემ, უცხო ქვეყანიდან არ მქონდა დაფინანსებაო, (აბა, საქართველოში მცხოვრები ბიზნესმენები ოპოზიციას რას გაეკარებიან) მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი ადამიანი თუ დაიჯერებს. არ გეტყვით იმას, რომ ბურჯანაძეს რუსული სპეცსამსახურები და თვით პუტინი აფინანსებდა და მხარს უჭერდა, რადგან ეს, ასე რომ ყოფილიყო, მოვლენები, ბუნებრივია, სხვანაირად განვითარდებოდა, თუმცა რუსეთში მცხოვრებ ბიზნესმენთა გარკვეული ჯგუფი რომ აფინანსებდა, ეს დანამდვილებით ვიცი, — ირწმუნება წყარო. წყარო ქართულ პარტიასაც გადასწვდა და აი, რა გვითხრა: —საუბრები იმაზე, რომ გაჩეჩილაძემ ქართული პარტია კრების აქციების ფაქტორის გამო დატოვა, აბსურდია, გაჩეჩილაძესა და სხვა ლიდერებს შორის განხეთქილება მანამდე იყო და ადრე თუ გვიან, გრეჩიხა პარტიას დატოვებდა.

წყარო ვერ გვიკონკრეტებს, რას აპირებს გაჩეჩილაძე, თუმცა დაახლოებით ერთი თვის წინ ის კონსულტაციებს „თავისუფალი საქართველოს" ლიდერ კახა კუკავასთან რომ აწარმოებდა, ეს დანამდვილებით იცის. ასე რომ, დიდი შანსია, საზოგადოება მალე მათი პოლიტიკური ქორწინების გაფორმების მომსწრე გახდეს. დიახ, ერთი თვის წინ გრეჩიხას თავის ერთგულ მეგობარ კუკავასთან უნდოდა გაერთიანება და ერთ თვეში თუ არ გადაიფიქრა, ვიხილავთ კიდეც მის გვერდით.

# საქველმოქმედო ვახშამზე მილიონ-ნახევარი ლარი შეგროვდა

## ჰოლივუდის ვარსკვლავებმა საქართველო დატოვეს

ეკა ირემაშვილი

ჰოლივუდის რეჟისორის რენი ჰარლინის „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერა ერთდროულად კინოთეატრ „რუსთაველში“, „ამირანსა“ და „საქართველოში“ გაიმართა. მთავარ ეპიცენტრად კინოთეატრი „რუსთაველი“ ითვლებოდა, სადაც ჰოლივუდის ვარსკვლავებმა ფილმი ქართველ მსახიობებთან ერთად წარადგინეს და შემდეგ საგანგებო სტუმრებთან ერთად ნახეს. ფილმის საპრემიერო ჩვენებას თბილისში ამერიკელი კონგრესმენებიც დაესწრნენ. ოთხკაციანი დელეგაცია საპატიო სტუმართა სიაში იყო შეყვანილი.

კინოთეატრის ფოიეში აგვისტოს მოვლენების დროს გადაღებული ფოტოგამოფენაც მოეწყო. გაზეთმა „პრაიმ ტაიმმა“ კი წიგნის „გმირების“ ინგლისური ვერსიის პრეზენტაცია კინოთეატრის ფოიეში მოაწყო. უცხოელ სტუმრებს მიეცათ შანსი, რუსული აგრესიის დროს გმირულად დაღუპული ქართველი მეომრების ისტორიებს გაცნობოდნენ. წიგნში იმ ქართველ ჯარისკაცებზეა მოთხრობილი, რომლებიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაიღუპნენ.

ფილმში „აგვისტოს 5 დღე“, რომელიც კანის კინოფესტივალშიც მონაწილეობდა, მსოფლიოში ცნობილი მსახიობები მონაწილეობენ. საქართველოს პრეზიდენტის როლს ენდი გარსია ასრულებს. ფილმის ქართველი პროდიუსერის ნიკა ავალიანის განცხადებით, ინგლისურიდან კინოსურათის ქართულად თარგმნა მაღალი ხარისხით მოხდა და სხვა მსახიობებთან ერთად დუბლაჟზე შალვა დუმბაძემ და შოთა ქრისტესაშვილმა იმუშავეს.

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიასთან“ 15-მდე სტუდენტმა აქცია გამართა და ფილმის დაგეგმილი პრემიერა გააპროტესტა. სტუდენტებს თან ჰქონდათ ინგლისურენოვანი პლაკატები, წარწერით „იაფფასიანი პროპაგანდა ხელოვნება არ არის“. ამ გზით მათ თბილისში „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის გამართვა გააპროტესტეს და ტრანსპარანტების საშუალებით საკუთარი ჩანაფიქრი ამ ფილმის შესახებ, ჰოლივუდის ვარსკვლავებს ამ ფორმით შეატყობინეს.

კინოთეატრ „რუსთაველში“ რენი ჰარლინის ფილმის „აგვისტოს ხუთი დღის“ პრემიერის შემდეგ, ჰოლივუდელმა მსახიობებმა რუსთაველის თეატრში გადაინაცვლეს, სადაც ბიზნესასოციაციის სახელით საქველმოქმედო ვახშამი გაიმართა. მას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი მეუღლე, სანდრა ელისაბედ რულოვსი ესწრებოდნენ. ვახშამზე მრავლად იყვნენ ბიზნესმენები, ხელისუფლების წარმომადგენლები, აშშ-ის კონგრესის დელეგაცია, პოლიტიკოსები და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს ცნობილი წარმომადგენლები.

ვახშამი 160 სტუმარზე იყო გათვლილი და მასზე დასწრება 5-დან 10 ათას ლარამდე ღირდა. საღამოზე მიწვეული სტუმრებისთვის მღეროდა სოფო ნიჟარაძე და გიორგი უშიკიშვილი ანსამბლთან ერთად. ორკესტრს ნიკა მემანიშვილი დირიჟორობდა. რუსთაველის თეატრის გასალამაზებლად საგანგებოდ იქნა ჩამოტანილი ვარდები ეკვადორიდან, ხოლო ვახშამზე მსოფლიოში ცნობილმა მიშლენის სამი ვარსკვლავის მფლობელმა შეფ მზარეულმა ალან პასარმა იზრუნა.

საქველმოქმედო ვახშამზე მილიონ ნახევარი ლარი შეგროვდა. საქველმოქმედო საღამოდან შესული თანხა 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახებს გადაეცემათ.

ჰოლივუდის მსახიობი შერონ სტოუნი თბილისში საგანგებოდ „აგვისტოს ხუთი დღის“ პრემიერისთვის ჩამოვიდა. მსახიობს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში პირადად უმასპინძლა. ვარსკვლავი პრეზიდენტის სასახლეში მაშინ მივიდა, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ამერიკელ კონგრესმენებს ქალაქის ხედებს ათვალიერებინებდა. სტუმრებს გიდობა თავად პრეზიდენტმა გაუწია. ღამის თბილისის ხედების ნახვის შემდეგ პრეზიდენტმა მსახიობს სამუშაო კაბინეტი და მისაღები დაათვალიერებინა, სადაც ფოტოებია გამოფენილი. სააკაშვილმა მას ფოტოებზე ის ახალი პროექტები გააცნო, რომელთა მშენებლობაც უკვე დაწყებულია, ზოგი კი დასრულებული.

ფილმის პრემიერამდე შერონ სტოუნმა თბილისის ძველი უბნები დაათვალიერა. იგი მეტეხის და ანჩისხატის ეკლესიებში იმყოფებოდა, ფეხით მოიარა ორთაჭალის ძველი უბნები და ლესელიძის ქუჩა. მას გიდობას ვიცე-პრემიერი გია ბარამიძე უწევდა. ჰოლივუდის ვარსკვლავი ქართული ეროვნული სამოსითაც დაინტერესდა და მაღაზია „სამოსელი პირველი“ დაათვალიერა. შერონ სტოუნი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიიღო. შეხვედრა საპატრიარქოში შედგა. მისმა უწმინდესობამ მსახიობი დალოცა და ღვთისმშობლის ხატი აჩუქა. პატრიარქმა მას თავისი საგალობლები მოასმენინა, ხატები დაათვალიერებინა, ზამთრის ბაღი აჩვენა, სადაც ზამთარ-ზაფხულ მის მიერ დარგული ყვავილები ყვავის.

სასტუმრო „რედისონში“, სადაც შერონ სტოუნი დაბინავდა, ფილმის შემქმნელებმა საგანგებო პრესკონფერენციაც გამართეს. როგორც რეჟისორმა რენი ჰარლინმა განაცხადა, ფილმის შემოქმედებითი ჯგუფისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ მიიღებს ფილმს ქართველი მაყურებელი. ჟურნალისტებთან საუბრისას რენი ჰარლინმა ენდი გარსიასა და მიხეილ სააკაშვილის მსგავსებაზე იხუმრა და განაცხადა, რომ ენდი გარსიას უყვარს ჰალსტუხი მდოგვთან ერთად.

რენი ჰარლინი, ფილმის რეჟისორი:

— ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ საქართველოს მსგავსი არაფერი მინახავს. მოხარული ვარ, რომ საქართველოში დავბრუნდი, წარმოშობით ფინელი ვარ, დიდი დრო ამერიკაში გავატარე, ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ საქართველოს მსგავსი არაფერი მინახავს. ეს ქვეყანა ჩემს მეორე სამშობლოდ მიმაჩნია. უნიკალურია თქვენი სამზარეულოც — განსაკუთრებით ხინკალსა და სოკოს დავასახელებდი. თბილისში ჩამოფრენის შემდეგ ქართულ რესტორანში ჭაჭის არაყიც დავაგემოვნე. რაც შეეხება უშუალოდ ფილმს, თავიდან არ ვიცოდი, რა სახის ისტორია უნდა მოეყოლათ, თუმცა პოლიტიკოსებთან, დევნილებთან და ომის შედეგად დაზარალებულებთან შეხვედრის შემდეგ ისტორიის კონტურები მკვეთრად გამოიხატა. მივხვდი, რომ პატივი მქონდა, ფილმი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ გადამეღო. ამ ფილმის გადაღება ჩემთვის იდეაფიქსად იქცა. ამაყი ვარ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის ისტორია ფილმად სწორედ მე ვაქციე. მინდა გავიხსენო ერთი ისტორია, რომელიც ფილმის გადაღებისას მოხდა. ჩვენს ოპერატორს, რომელსაც უამრავ ცხელ წერტილში უმუშავია, თვალზე ცრემლიც კი მოადგა. მიზეზი რომ ვკითხე, ასეთი რამ მომიყვა: თურმე ერთ-ერთი გადაღებისას თავის მეწყვილეს მიუბრუნდა, რომ დახმარება ეთხოვა, მაგრამ ის გარდაცვლილი ნახა. სწორედ ამიტომ ეს ფილმი ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან მასში ჩვენ ასეთი ადამიანების სახელითაც ვლაპარაკობთ. ამჟამად ომი მიმდინარეობს ლიბიაში, ეგვიპტეში, რადგან იქაურ ხალხსაც თავისუფლება სურს. ხალხს უნდა, თავის ხმა სხვებს გააგონოს და მიხარია, რომ მე მერგო პატივი გადამეღო ფილმი, რომლითაც ქართველ ხალხს სურს ხმა მსოფლიოს გააგონოს. გადავიღე ფილმი პატარა ქვეყანაზე, რომელიც ცდილობს დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს. წარმოშობით ფინელი ვარ — პატარა, 5 მილიონიანი ქვეყნიდან, რომელიც ასევე ესაზღვრება რუსეთს. ომი ჩემმა მშობლებმა და ბაბუა-ბებიებმა გადაიტანეს და დედაჩემი, რომელიც ახლა 90 წლისაა, ამაყობს იმით, რომ დღეს ვარ საქართველოში, გიჭერთ მხარს და გადავიღე ფილმი იმ პატარა ქვეყანაზე, რომელიც დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის იბრძვის.

ენდი გარსია, მსახიობი:

— თქვენი ქვეყანა განსაკუთრებით შემიყვარდა. ის, რაც ფილმშია ასახული, უნივერსალური ისტორიაა და ბევრ ქვეყანას გადახდენია. „აგვისტოს 5 დღე“ არ არის ფილმი მხოლოდ საქართველოზე, ის უნივერსალური ხასიათისაა და მოიცავს ისტორიას, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფოს შეიძლება გადახდეს. ეს არის ისტორია, რომელიც მეორდება და ძალიან ბევრ ქვეყანას გადახდენია. ეს არ არის ფილმი მხოლოდ საქართველოსა და მის პრეზიდენტზე, ეს ომის საწინააღმდეგო ფილმია. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს პაცეფისტური ფილმია. სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში ხდება მსგავსი ტრაგედია. თავად მე ვარ კუბიდან, რომელიც ახლაც გარკვეული გამოწვევის წინაშე დგას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის სუვერენიტეტს ყველამ პატივი ვცეთ. ეს არის ომის საწინააღმდეგო ფილმი. უნდა გვესმოდეს, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის სუვერენიტეტი და რაოდენ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს — მშვიდობა. ამ ფილმში მე გამოვხატე ჩემი, როგორც მსოფლიო მოქალაქის პოზიცია. ჩემი პოზიცია კი ის არის, რომ ყველა ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს გამოხატვის თავისუფლება. ჩემთვის ომი და ძალადობა მიუღებელია და ამ ფილმით გამოვხატე არა საქართველოს პრეზიდენტის, არამედ ჩემი, როგორც მსოფლიო მოქალაქის პოზიცია. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის როლს, გეტყვით, რომ ასეთ დროს ემოციები ბუნებრივად ჩნდება.

პ.ს. რენი ჰარლინის ფილმის „აგვისტოს ხუთი დღე“ ნახვა თბილისის კინოთეატრების გარდა, უკვე შესაძლებელია ზუგდიდში, ქუთაისში, საჩხერეში, გორსა და რუსთავში მდებარე კინოთეატრებში. ჰოლივუდის ვარსკვლავებმა კი საქართველო უკვე დატოვეს. ისინი პირდაპირ ლონდონში გაემგზავრნენ, სადაც ევროპულ პრემიერას უნდა დაესწრონ. თბილისიდან გამგზავრებამდე მათ პირობა დადეს, რომ ჩვენს ქვეყანას ისევ ესტუმრებიან — ენდი გარსია შემოდგომაზე, საკუთარ ბენდთან ერთად ჩამოვა, რენი ჰარლინი საქართველოში სახლს შეიძენს, ზაფხულში კი ბათუმს ესტუმრება.

# „ფრანი“ მეტროში იმღერებს

ეკა ირემაშვილი



ჯგუფი „ფრანი“, რომელიც თინეიჯერებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, რუსთაველის მეტროს ტერიტორიაზე კონცერტს გამართავს. კონცერტზე დასწრება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეეძლება. ღონისძიების ორგანიზატორი კომპანია „ბილაინია“. იგი კონცერტის დამსწრეებს საგანგებო საჩუქრებითაც დაასაჩუქრებს.

**როგორც „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თეონა ბალდავაძემ განმარტა:**

— კონცერტის მეშვეობით გვინდა ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც ამ დროს მეტროში იქნება, სიამოვნება მიიღოს კონცერტისგან და გარდა ამისა, გვსურს, რომ მეტროს ნებისმიერი მგზავრი კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ „ბილაინი“ უკვე მეტროშიც იჭერს. მომავალშიც ვგეგმავთ მრავალი საინტერესო ღონისძიების ჩატარებას.

***— რატომ ატარებთ კონცერტს მეტროში?***

— იმიტომ, რომ გადავწყვიტეთ, მეტროში ჩვენი სიგნალის არსებობა „ფრანის“ მუსიკლური პროგრამით აღგვენიშნა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ... ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

# ბახვა თედეევს რუსეთის ეიმედება

ქართული ფეხბურთის ძველ გულშემატკივართ კარგად ეხსომებათ ბახვა თედეევი, რომელიც თბილისის „დინამოში“ 1986 წელს ჩაირიცხა და 1989 წლამდე ითამაშა, ხოლო შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, ეროვნებით ოსი ფეხბურთელი მაშინდელ ვლადიკავკაზის „სპარტაკში“ გადავიდა, რომელსაც მოგვიანებით „ალანია“ დაერქვა.

სწორედ ხსენებულ კლუბში გაატარა მან კარიერის უმეტესი ნაწილი და ერთი პერიოდი „ალანიაში“ მწვრთნელადაც მუშაობდა. თუმცა, 2008 წელს, რუსეთ- საქართველოს ომის შემდეგ, მშობლიურ ცხინვალში დაბრუნდა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპორტს თავკაცობს. „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტი დმიტრი სიმონოვი თედეევს ცხინვალში ესტუმრა და ინტერვიუ ჩამოართვა. ცხადია, მისი სტუმრობა საქართველოს არ ეხება და უფრო რუსეთის მიერ აღიარებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების რაც შეიძლება დადებითი კუთხით გაშუქებაა.

ამ ინტერვიუს მცირეოდენ შემოკლებით გთავაზობთ:

— ***სიმართლე გითხრათ, აქ ჩამოსვლამდე სამხრეთ ოსეთის მთავრობის ვებ-გვერდზე ვეძებდით, თუ ვინ არის თქვენი უშუალო უფროსი, ანუ სპორტის მინისტრი. თუმცა, ვერც მსგავს თანამდებობას მივაგენით და ვერც ასეთ ადამიანს.***

— ჩვენ გვაქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის სამინისტრო, სადაც ფიზიკური კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის მართვის პოლიტიკის სამმართველო შედის. სწორედ ამ ორ მიმართულებას ვკურირებ. ჩემი კაბინეტი ჯერ კიდევ ომისშემდგომი პერიოდისაა და ამიტომაა არეული. ჯერჯერობით, კაბინეტშიც და ქალაქშიც ყველაფერი დასალაგებელია. თუმცა, წლიდან წლამდე ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის.

— ***კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელად მუშაობდით და უცებ ჩინოვნიკი გახდით. რატომ?***

— მას შემდეგ, რაც „ალანიაში“ სამწვრთნელო კარიერა დავასრულე, დიდი დრო გავიდა. ომის შემდეგ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის მიწვევა რომ მივიღე, აქ მუშაობა გადავწყვიტე. სპორტისთვის უცხო ადამიანი არ ვარ და აქაური პრობლემები ჩემთვის ნაცნობია. ჩვენ ძალიან ნიჭიერი ბავშვები გვყავს და მსურს, რომ ისინი ჯანმრთელები გაიზარდონ. ცხადია, ყველა ვერ გახდება სპორტსმენი, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა შესაძლოა მომავალში მსოფლიო დონის ჯილდოებიც მოიპოვოს. ჩვენი მიზანია, ამ ბავშვებს ძლიერ კაცებად ჩამოყალიბებაში დავეხმაროთ.

— ***ცოლ-შვილი შოკში იყვნენ, როცა გაიგეს, თუ სად იწყებდით მუშაობას?***

— რატომ უნდა ყოფილიყვნენ წინააღმდეგი? ოჯახს ვინ არჩენს? ოჯახში უფროსი კაცია. გეთანხმებით, არცთუ იოლი სამუშაო პირობებია. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ყველაფერი გამოგვდის და ბიუჯეტიც უზომო გვაქვს. თუმცა ვცდილობთ, ყველა სპორტული სექცია მოვიცვათ, რათა დაჩაგრულად თავი არავინ იგრძნოს. იმისკენ მივისწრაფვით, რომ ჩვენი სპორტსმენები სადღაც მიდიოდნენ, უცხოეთში შეჯიბრებებში მონაწილეობას იღებდნენ. ბურთის მადლობელი ვარ, რადგან მისი წყალობით მსოფლიო ვნახე. მსურს, ჩვენმა ბავშვებმაც ნახონ სამყარო.

— ***ჯერ კიდევ გუშინ, ცხინვალში ომი იყო. ამის მიუხედავად, ქალაქი არ მომკვდარა — ქუჩაში ამდენი ახალგაზრდაა, ლამაზი გოგოები დადიან და არავინ გარბის.***

— რატომ უნდა გაიქცნენ? ვისაც შეგვიძლია, რუსეთის ფედერაციაში სასწავლებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ვაგზავნით. მოგვიანებით, როცა ისინი მაღალი კლასის სპეციალისტები ხდებიან, რესპუბლიკაში ბრუნდებიან, რათა ჩვენი ქვეყანა ნანგრევებიდან აღორძინონ.

— ***ცხინვალში ნანგრევები სახლებზე ნაკლები არ არის.***

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაფერი აშენებულა. მხოლოდ ინგრეოდა. შენობები, კომუნიკაციები, ყველაფერი... სამხრეთ ოსეთმა ფეხზე დადგომა ახლა დაიწყო. საბავშვო მოედნები კეთდება, სკოლები, საბავშვო ბაღები. მხატვრულ ტანვარჯიშში ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის რუსი ჩემპიონი ალინა კაბაევა სპორტის სასახლეს აშენებს. ჩვენ ვქმნით. რუსეთის ფედერაციის დახმარებით ფეხზე აუცილებლად დავდგებით.

— ***სამხრეთ ოსეთში ცხოვრობთ?***

— ცხინვალში ვმუშაობ და ნაწილობრივ ვცხოვრობ კიდეც, ხოლო ოჯახი ჩრდილოეთ ოსეთშია. ამიტომ, აქეთ-იქით სიარული მიწევს.

— ***ცხინვალში რითი გადაადგილდებით?***

— სამსახურებრივი მანქანა მყავს — ნივა.

— ***ნივა?***

— დიახ, რადგან აქაური გზებისთვის ამაზე უკეთეს ტრანსპორტს ვერ მოიგონებ.

— ***თქვენი ყოფილი თანაგუნდელის, ომარ თეთრაძის მიერ ვოლგაში გაწეულ სამუშაოს როგორ აფასებთ?***

— გუნდმა სეზონი არცთუ ცუდად დაიწყო და მისთვის მთავარი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. ომარი ფეხბურთში შემთხვევითი კაცი არ არის — კეთილსინდისიერია და საქმე კარგად იცის. ვფიქრობ, მას ყველაფერი გამოუვა.

# პატარა „ბორჯღალოსნები“ მესამეთი დაკმაყოფილდნენ

მე-3 ადგილისთვის მატჩის პირველ ტაიმში საქართველოს ნაკრებმა ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა, ორჯერ დაიმსახურა ჯარიმის შესრულების უფლება და ბახვა კობახიძემ ორივე დარტყმა ზუსტად შეასრულა. თუმცა, მე-20 წუთიდან, ხუთწუთიან ინტერვალში, ურუგვაიმ ორჯერ მიიღო ანალოგიური შანსი და წონასწორობა აღადგინა.

შესვენებამდე დარჩენილ დროში ქართველებმა ძალიან მოინდომეს.




მოლით მიწოლას რამდენიმე მეტრის მოგება მოჰყვა, მერე ლევან ჩილაჩავა ჯგუფს მოწყდა და ლელო გაიტანა. მსაჯმა დაგვაჯარიმა და ლელო გააუქმა, თუმცა, მუხტი არ დაიკარგა. მეტოქემ აუტი ცუდად მოაწოდა, თხილაიშვილმა კარგად შეუტია, მას მხარი ბუჯიაშვილმა აუბა, მერე ბურთი ხაზზე ჩათამაშდა, მარგიანის იერიში გოგოლაშვილმა განაგრძო, რომელიც ჩათვლის მოედნის სიახლოვეს შეაჩერეს, მაგრამ დარჩენილი მანძილი მორკინალთა მოკლე დარტყმებით დაიფარა და ჩილაჩავამ თავისი ლელო მაინც დადო, კობახიძემ კი გარდასახვა შეასრულა.

ქართველთა იერიშებმა კიდევ ერთი შედეგი ტაიმის მიწურულს გამოიღო. სამხრეთამერიკელებმა რამდენიმე დარტყმას გაუძლეს, მაგრამ საბოლოოდ მჭედლიშვილმა ხაზის გაჭრა მაინც მოახერხა და ლელო გაიტანა, კობახიძემ კი საქართველოს ნაკრებს ტაიმი 20:6 მოაგებინა.

თითქოს მე-2 ნახევარში მასპინძელთა უპირატესობა უფრო უნდა გაზრდილიყო, მაგრამ მოხდა პირიქით. ქართველებს ტექნიკური წუნი ხშირად მოსდიოდათ, რაც ურუგვაიმ კარგად გამოიყენა. ისინი ხშირად იგებდნენ მანძილს და ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვეს. ქართველთა შეცდომის ხარჯზე კი ბურთსაც უმეტესად ისინი ფლობდნენ და ჯარიმებით სხვაობა მეთოდურად ამცირეს. თამაშის განახლებიდან 15 წუთში, მეტოქემ 2 ჯარიმითა და ერთი არეკნით ჩამორჩენა სახიფათო ზღვრამდე დაიყვანა და სათამაშო უპირატესობა არც მერე დაკარგა.

57-ე წუთზე კობახიძეს სიტუაციის განმუხტვის შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ჯარიმა არაზუსტად დაარტყა. ურუგვაიმ მეტი მოინდომა, წარმატების მიღწევის შესაძლებლობა იგრძნო და ჯერ არეკნი სცადა, მერე კი, 65-ე წუთზე, გასატანი ჯარიმა ვერ გამოიყენა.

დრო ამოწურვისკენ მიდიოდა, ურუგვაი უპირატესობას ფლობდა და 76-ე წუთზე, ქართველთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, გაგოშვილმა მეტოქე ყელში შებოჭა, დამსახურებული სინბინი მიიღო და დარჩენილი დრო საქართველოს ნაკრებმა კაცნაკლულმა გაატარა.

„ბორჯღალოსნებმა“ მაინც გაძლეს, ერთ ეპიზოდში, კარგი კონტრშეტევაც წამოიწყეს, მაგრამ ცენტრს ვერ გადასცდნენ, სამაგიეროდ, მანძილი და დრო მოიგეს და საბოლოოდ, 20:15 იმარჯვეს, რითაც მე-3, საპატიო ადგილი დაიკავეს.

მატჩის შემდეგ:

**პაატა ნარიმანაშვილი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

— მადლობა ღმერთს, პირველ ტაიმში ქულათა ისეთი მარაგი შევქმენით, რომ მე-2 ნახევარში მეტოქის შემოტევებს გავუძელით და გამარჯვება მოვიპოვეთ. ურუგვაის ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. დავალება იყო, რომ საკუთარი ჩათვლის მოედნის სიახლოვეს ფეხით გვეთამაშა, მაგრამ ეს ვერ შესრულდა. ურუგვაისგან პირველ ტაიმში მეტ წინააღმდეგობას ველოდით და შესაძლოა, გარკვეულწილად ამანაც მოგვადუნა. მეტოქემ მე-2 ნახევარში განსხვავებულად, ბევრად უკეთ ითამაშა. მეტოქეს სიტუაციის დაძაბვის საშუალება ჩვენ მივეცით, თორემ ისევე რომ გვეთამაშა, როგორც პირველ ტაიმში, გაცილებით დიდი სხვაობით მოვიგებდით. როგორც ჩანს, ამ ტურნირისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადეთ. მოვა დრო და ამას მოვახერხებთ, მაგრამ ახლა დავინახეთ, რომ ჩვენი მომზადების დონე ამ დონის ტურნირის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება, ასევე სიჩქარეები, იაპონიასთან მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა. პირველი 2 თამაშის შემდეგ, თითქოს ხარვეზები გამოვასწორეთ, მაგრამ სივრცეების ამოვსება მაინც ვერ შევძელით. საქართველოში ახლა დაიწყო მოედნების მშენებლობა, პირობების შექმნა და მწამს, მომავალში მეტის მიღწევა ხელმისაწვდომი იქნება.

**ხუან ბალდომირი, ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:**

— ეს თამაში ორ სხვადასხვა ტაიმად უნდა განვიხილოთ. პირველ 40 წუთში თითქოს დავნებდით, თამაშის რიტმი ვერ ვიპოვეთ და მეტოქის წნეხის ქვეშ მოვექეცით, მაგრამ მე-2 ნახევარში მიზანს მივაღწიეთ, ბურთზე კონტროლი დავამყარეთ, მაქსიმუმი გავაკეთეთ და ეს შედეგზეც აისახა, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. საქართველოს ნაკრებს რაქებსა და მოლებში უპირატესობა ჰქონდა, ხოლო ჩვენ იქ უპირატესობის მისაღწევად ორი-სამი კაცით მეტი გვჭირდებოდა და ამის გამო, აქცენტი ფეხით თამაშზე გავაკეთეთ, რამაც შედეგი მოგვიტანა, თუმცა არასაკმარისი.

საქართველოს ნაკრებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბახვა კობახიძე, ზურაბ ძნელაძე, დავით ლოსაბერიძე (გიორგი მარგიანი 7, ვანო გაბროშვილი 57), გიგა გაგოშვილი, ლევან გოგოლაშვილი, უჩა მჭედლიშვილი, რამაზ ჯინაშვილი (ჯიმი ლამბაშიძე 77); ზაზა ნავროზაშვილი (ზურაბ ერისთავი 63), მერაბ მატკავა (ირაკლი ჩომახაშვილი 71), ლევან ჩილაჩავა, ბექა ბიწაძე, კოტე მიქაუტაძე (გიორგი ჟღენტი 60), გიგა თხილაიშვილი, გიორგი ტყეშელიაძე, ხვიჩა ბუჯიაშვილი (ბექა ხიპაშვილი 71).

ფინალში, სამოასა და იაპონიის ნაკრებებს შორის დაძაბული შეხვედრა გაიმართა. საწყის ოც წუთში იაპონელები 17:0 დაწინაურდნენ, მაგრამ სამოამ პირველივე ტაიმში მოახერხა 3 საპასუხო ლელოს გატანა და შესვენებისას უკვე 19:17-ს იგებდა.

მეორე ტაიმში იაპონელებმა კვლავ დიდი ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს და შეხვედრის დასრულებამდე ორიოდე წუთით ადრე, ანგარიში საყაიმო იყო — 24:24.

ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ დამატებითი დრო უნდა დანიშნულიყო, თუმცა, ბოლო წუთებზე იაპონელებმა შეცდომა დაუშვეს, სამოამ თავისი მორიგი ლელო გაიტანა და 31:24 იმარჯვა.

მეხუთე ადგილზე კანადის ნაკრები გავიდა, რომელმაც რუსეთს 49:25 სძლია, ხოლო მე-7 ადგილი აშშ-ს ნაკრებმა დაიკავა, რომელმაც ზინგბაბვე 30:29 დაამარცხა.

# როგორც იქნა — ძიუდოისტებმა მედლები ამრავლეს

ბუქარესტის მსოფლიოს თასზე შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში, ფინალში ქართველი ძიუდოისტი გავიდა. ბოლოს როდის მოხდა მსგავსი ფაქტი, გულშემატკივარს აღარც ახსოვს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი მსოფლიოს თასის მეორე დღე იყო. ჩემპიონ-პრიზიორები დარჩენილ 4 წონაში: 81, 90, 100 და მძიმე კილოგრამებში გამოვლინდნენ. ტურნირში საქართველოს ნაკრების სამი წევრი ჩაერთო და წინასწარი პროგრამა სამივემ წაუგებლად ჩაამთავრა. ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ), ზვიად გოგოჭური (90 კგ) და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე) ფინალში გავიდნენ, რითიც ნაკრებს გუნდური გამარჯვება დაუზღვეს. თუმცა, ბოლომდე იბრძოლეს და...

გადამწყვეტი ნაბიჯი მხოლოდ მძიმეწონოსან ქართველს დააკლდა. ჩვებურისა და უნგრელი ბარნა ბორის ფინალურ შეხვედრაში ოქროს ბედი ერთადერთმა იუკომ გადაწყვიტა მეტოქის სასარგებლოდ. ამ ორთაბრძოლამდე ხანჯალიაშვილმა სამი მოწინააღმდეგე ჩამოიშორა გზიდან. ჩერნოგორიელ მარკო რადულოვიჩს წუთსა და 46 წამში ორი ვაზარი აართვა, წმინდადვე აჯობა რუმინელ დანიელ ნატეასაც, მეხუთე წუთზე, ხოლო ნახევარფინალში, რუს მაგომედ ნაჟმუდინოვს 2 იუკოთი მოუგო.

ავთანდილ ჭრიკიშვილმა ყველაზე მეტჯერ, ექვსჯერ მოირგო კიმონო და ექვსჯერვე ისე მოიგო, მინიმალური ქულაც კი არ დაუკარგავს. პირველ წრეში იტალიელ ლუკა პოეტას ვაზარ-იუკოთი აჯობა, ჩერნოგორიელ სრჟან მრვალიევიჩს 41 წამში მოუმთავრა საქმე, ბელგიელ ჟოაკიმ ბოტიეს ერთადერთი იუკოთი გასცდა, ფრანგ ანტუან ჯანინს ვაზარით, ნახევარფინალში უკრაინელ ვიქტორ სავინოვს წმინდად მოუგო, ხოლო ფინალში უკრაინელი არტემ ვასილენკო გააკრა ტატამს.

ზვიად გოგოჭურმა ტურნირი ევროპის ავსტრიელი პრიზიორის, მაქს შირნჰოფერის ძლევით გახსნა. ზედ ჩეხი მიჰალ ჰორაკი, სლოვაკი მილან რანდლი და ყირგიზი ჩინგიზ მამედოვიც მიაყოლა და რაც მთავარია, ოთხივე მოწინააღმდეგეს იპონით მოუმთავრა საქმე. ყველაზე შთამბეჭდავი კი გოგოჭურის მიერ ფინალში შესრულებული წმინდა გდება გამოვიდა, რომელიც რუს გრიგორი სულემინს შეუსრულა.

მანამდე საქართველოს ოქრო 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ბექთილ შუკვანმა მოუტანა, რომელმაც ფინალამდე ოთხი მეტოქე — იტალიელი ვინჩენცო კამერლინგო, ჩინელი ლიშუან იანგი, ბულგარელი იანისლავ გერჩევი და ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერი წმინდა გამარჯვებით ჩამოიშორა. გადამწყვეტ ბრძოლაში კი მორიგი იპონი გერმანელ ტობიას ენგლმაიერს აგემა და ოქროსთან ერთად, სარეიტინგო 100 ქულაც გაინაღდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველომ დიდი უპირატესობით იმარჯვა - აჩვენა უკეთესი შედეგი, ვიდრე ერთად სამმა უახლოესმა მდევარმა: უნგრეთმა, რუმინეთმა და ჩეხეთმა.

ბუქარესტის მსოფლიოს თასზე 45 ქვეყნის ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა. მართალია გრანდებმა უძლიერესი შემადგენლობების დაყენებისგან თავი შეიკავეს, მაგრამ აქვე დავამატოთ, რომ საუკეთესო კრებული რუმინეთში არც საქართველოს ჩაუყვანია. ძიუდოისტებს მსოფლიოს თასზე ნაკრების ავსტრიელი თავკაცი პიტერ ზაიზენბახერი და მისი თანაშემწე ზურაბ ზვიადაურიც არ გაჰყოლიან. გუნდი თან მწვრთნელთა საბჭოს წევრმა ივერი ჯიქურაულმა იახლა.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჩინეთი-უზბეკეთი | 1:0 |
| პოლონეთი-არგენტინა | 2:1 |
| კოსტა რიკა-კუბა | 5:0 |
| მექსიკა-სალვადორი | 5:0 |

### აფრიკის ერთა თასი. შესარჩევი ეტაპი

| | |
|---|---|
| მავრიკია-დემ.კონგო | 1:2 |
| ზიმბაბვე-მალი | 2:1 |
| კომორი-ლივია | 1:1 |
| ბოსტვანა-მალავი | 0:0 |
| სვაზილენდი-სუდანი | 1:2 |
| ეთიოპია-ნიგერია | 2:2 |
| ბურუნდი-რუანდა | 3:1 |
| ანგოლა-კენია | 1:0 |
| ბენინი-კოტ დივუარი | 2:6 |
| ლიბერია-კაბო ვერდე | 1:0 |
| გვინეა-მადაგასკარი | 4:1 |
| ტუნისი-ჩადი | 5:0 |
| ეგვიპტე-ს.აფრიკა | 0:0 |
| ამხანაგური მატჩები | (21) |
| ინგლისი-ნორვეგია | 2:0 |
| ესპანეთი-რუსეთი | 1:1 |
| უკრაინა-საფრანგეთი | 1:1 |
| კოლუმბია-იტალია | 1:1 |
| კოტ დივუარი-პორტუგალია | 0:1 |

### იტალია. სერია ბ

### პლეი-აუტი

| | |
|---|---|
| ვარეზე-პადოვა | 3:3 |
| ნოვარა-რეჯინა | 2:2 |

### ბრაზილია. სერია ა

| | |
|---|---|
| გრემიო-ბაია | 2:0 |
| კურიტიბა-ვასკუ | 5:1 |
| ფლამენგო-კორინთიანსი | 1:1 |
| ამერიკა-ინტერნასიონალი | 2:4 |
| სანტოსი-ავაი | 3:1 |

### არგენტინა. კლაუსურა

| | |
|---|---|
| ქილმესი-ბოკა | 2:2 |
| ხიმნასია-რასინგი | 0:0 |
| ურაკანი-ტიგრე | 3:2 |
| რივერ პლეიტი-კოლონი | 1:1 |

## კალათბურთი

### ნბა. პლეი-ოფი

### ფინალი 4 მოგებამდე

| | |
|---|---|
| დალასი-მაიამი | 86:88 |
| სერიის ანგარიში | 1:2 |

### ეჩ-2011. ქალები

| | |
|---|---|
| ბელგია-რუმინეთი | 70:63 |
| უნგრეთი-უკრაინა | 68:56 |
| ჰოლანდია-ფინეთი | 83:80 |
| გერმანია-იტალია | 78:57 |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ლატვია-ლიტვა | 65:57 |
| ჩინეთი-კუბა | 68:65 |

## ფრენბურთი

### ევროლიგა. ქალები

| | |
|---|---|
| ბელარუსი-ხორვატია | 3:0 |
| თურქეთი-რუმინეთი | 3:0 |

### მსოფლიოს ლიგა. კაცები

| | |
|---|---|
| ბრაზილია-პოლონეთი | 3:1 |
| ბულგარეთი-იაპონია | 3:0 |
| იტალია-კუბა | 3:2 |

### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ბელგია-დ.ბრიტანეთი | 3:1 |
| ჰოლანდია-საბერძნეთი | 3:0 |
| სლოვენია-ხორვატია | 3:2 |
| თურქეთი-რუმინეთი | 1:3 |
| სლოვაკეთი-ბელარუსი | 3:1 |

## ხელბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-სლოვენია | 28:19 |
| გერმანია-უნგრეთი | 26:24 |
| ისლანდია-უკრაინა | 37:18 |
| ხორვატია-სერბეთი | 36:25 |

## ჩოგბურთი

### როლან გაროსი

### კაცები. ფინალი

| | |
|---|---|
| ნადალი-ფედერერი | 7:5;7:6;5:7;6:1 |

# პასუხისმგებლობა აქციის ორგანიზატორებს იმის გამო ეკისრებათ, რომ მათ ძალადობის პროვოცირება მოახდინეს

როგორ აისახება 26 მაისის მოვლენები ქართულ პოლიტიკაზე და რა შედეგები შეიძლება მიიღოს ოპოზიციურმა „რვიანმა" საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე, „ინტერპრესნიუსი" ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორს, კახა გოგოლაშვილს ესაუბრა.



— ბატონო კახა, 26 მაისის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ქართულ პოლიტიკაში რუსული ფაქტორი კვლავ აქტუალურია. ამ თემაზე ბევრს კი საუბრობენ, მაგრამ ჯერ გაურკვეველი რჩება რა ფორმით იღებდა მონაწილეობას რუსული მხარე 21-26 მაისის მოვლენებში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ის, რომ აქციის ორგანიზატორებს მხოლოდ პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებები აქვთ წაყენებული. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია მტკიცება, რომ ქართულ პოლიტიკაში რუსული ფაქტორის ზედმეტად გამოყენების ტენდენცია არსებობს? ისიც ნათელია, რომ მომხდარში უფრო მეტი პასუხგაუცემელი კითხვაა...

— ფაქტია, რომ ქართულ პოლიტიკაში რუსული ფაქტორი არსებობს, მაგრამ რა დოზით, რა შესაძლებლობებით, რამდენად „ეფექტურად და ნაყოფიერად", ამის თქმა ჭირს. ჩემი აზრით, ჯერჯერობით, ქართულ პოლიტიკაში რუსეთის გავლენაზე და რაიმე სერიოზული შედეგზე საუბარი გადაჭარბებულია. თუ არ ჩავთვლით უსიამოვნო ექსცესებს, ისეთ შემთხვევებს, როგორიც იყო 25-26 მაისის მოვლენები. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში ბევრი ისეთი მოვლენა განვითარებულა, რომელთა კვალი სწორედ რუსულ სპეცსამსახურებამდე მიდის. ხშირია გარკვეული პოლიტიკოსების მეშვეობით ქართულ საქმეებში ჩარევის შემთხვევები. რუსეთი ცალკეული პოლიტიკოსების საშუალებით ცდილობს გარკვეული აქციების დაფინანსებას. რომ არაფერი ვთქვათ ადრე განხორციელებულ ტერაქტებზე, ტერიტორიების ოკუპაციაზე, ქართულ პოლიტიკაში რუსეთის მონაწილეობის მცდელობები აშკარაა.

რაც შეეხება იმას, რომ დაკავებულების მიმართ არ არის წაყენებული ბრალდებები სამშობლოს ღალატის მუხლით, არა მგონია, ეს რთულად გასაგები იყოს. პოლიტიკა და იურისპრუდენცია ერთმანეთისაგან ისევე განსხვავდება, როგორც სამართლებრივი ქმედება და პოლიტიკური ხასიათის აქციები. როცა ტელევიზიით საუბარია იმაზე, რომ ადგილი აქვს საქართველოს შიდა პროცესებში რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობას, ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური განცხადებებია. უმიზეზოდ ისინი არ კეთდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უნდა აისახოს სამართალდამცველთა ხისტ ქმედებებში გამოძიებისას და სასამართლოში.

შესაძლოა, იყოს ისეთი ტიპის ქმედებები, რომელიც იძლევა პოლიტიკური განცხადებების შესაძლებლობას, მაგრამ არ იყოს საკმარისი სამხილები იმისათვის, რომ საქმე ქვეყნის ღალატის მუხლით აღიძრას. შესაძლოა, არსებობდეს პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხიც. არ გამოვრიცხავ, რომ ამგვარი მუხლებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებში არ შედიოდეს. ყოველ შემთხვევაში, იმ ჩანაწერების, რომელიც ტელევიზიით გადაიცა, ნამდვილობა არავის არ უარუყვია. ვერ ვიტყვი, რომ იმ ჩანაწერებიდან ვინმეს ბრალეულობაზე საუბარი შეიძლება. ასეთ საუბრებზე შეიძლება ითქვას, რომ საუბრის მონაწილეები ზრახვებზე და თავის ფანტაზიებზე მსჯელობდნენ. ის, რაც ტელევიზიით ვიხილეთ, არ არის საკმარისი სამხილი იმისათვის, რომ ვინმეს ბრალდებები სამშობლოს ღალატით წაუყენონ.

— აქციის ორგანიზატორთა უპასუხიმგებლობაზე არავინ დაობს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ხელისუფლებამაც ძალის გამოყენებაში აშკარად გადააჭარბა. მომხდარში პასუხისმგებლობას პროცენტულად ვის უფრო მეტად დააკისრებდით - ხელისუფლებას თუ ოპოზიციას?

— ჩემი აზრით, ოპოზიცია არის ის, ვინც პოლიტიკურად იბრძვის და თავისი მიზნების პოლიტიკური ხერხებით მიღწევას ცდილობს. 26 მაისის აქციის არსი რამე პოლიტიკური მიზნის მიღწევა არ ყოფილა. ეს უფრო ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და უცნაური ქაოსის დამკვიდრების მცდელობა იყო, რასაც თავისთავად არ შეეძლო რომელიმე პოლიტიკური ძალისათვის დივიდენდების მოტანა. აქციის ორგანიზატორებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ იმ ტიპის აქციები, რომელიც მათ დაგეგმეს, მათ პოლიტიკურად დააზარალებდა. თუ კარგად დავუკვირდებით, ჩანს, რომ ამ აქციის ორგანიზება ვიღაც სხვის ინტერესში უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ამაშიც სწორედ რომ მეზობელ ქვეყანაში უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული. თუ ადამიანები ტელევიზიაში ნაჩვენებ საუბარში თავის ზრახვებზე საუბრობენ, ამგვარი ეჭვის გამოთქმის საფუძველი ჩვენც გვაქვს. ამას, მტკიცებაზე მეტად, მომხდარის გაანალიზება და ფიქრი სჭირდება. ამიტომ, პასუხისმგებლობა პირველ რიგში აქციის ორგანიზატორებს ეკისრებათ. მათ ძალადობის პროვოცირება მოახდინეს. ხელისუფლებას ძალადობის გამოყენება რომ არ სურდა, იქიდანაც ჩანს, რომ ხელისუფლებამ მათ ადგილის შეცვლა შესთავაზა. გარდა იმისა, რომ "სახალხო კრებამ" ძალადობის პროვოცირება გამოიწვია, ქალბატონმა ბურჯანაძემ ისიც კი განაცხადა, — „მოვიდნენ და ვნახავთ რისი გამკეთებლები არიან, ძალა მორევაზეაო". მე, როგორც ერთი მოქალაქე, მომხდარზე პასუხისმგებლობას მაპროვოცირებელ მხარეს ვაკისრებ.

რაც შეეხება პოლიციას. ადვილია საუბარი იმაზე, რომ პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა. ჩემი აზრით, ნამდვილადაა შესაძლებელი პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტების გამოძიება, იმის გამოძიება რამდენად სწორად იქნა გამოყენებული ესა თუ ის იარაღი, მართლა აღმოჩნდნენ თუ არა აქციის მონაწილეები ალყაში და ჰქონდათ თუ არა მათ ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა. ამ საკითხებზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები გამოითქმის, ამიტომ პირადად მე მომხრე ვარ, რომ მომხდარზე გამოძიება ჩატარდეს. ჩემი აზრით, პოლიციელები ინდივიდუალურ დონეზე აჭარბებდნენ თავის უფლებამოსილებას.

— ბევრი მიიჩნევს, რომ 26 მაისის მოვლენების შედეგები გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე აუცილებლად აისახება.

— 26 მაისის მოვლენები პოლიტიკურ პროცესებზე შესაძლოა, დადებითად აისახოს. ნათელია, რომ გაკოტრდა შეხედულება, რომ ჯოხებით და აქციების ორგანიზებით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია. ჩემი აზრით, მსგავსი მოწოდებები და პოლიტიკური აზროვნება წარსულს ჩაბარდება. ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ ამგვარი გზით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობა საჯაროდ დაგმო. ხელისუფლება მომავალშიც შეეცდება აღკვეთოს ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის ნებისმიერი მცდელობა. ხელისუფლება მომავალშიც ხისტი იქნება, მაგრამ კონსტიტუციურ ფარგლებში, ძალიან ფრთხილად იმოქმედებს. ანუ, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ 26 მაისის შედეგები პოლიტიკურ პროცესზე გარკვეულწილად აისახება.

— ვითარებაში, როცა ხელისუფლება პოლიტიკურ სივრცესა და პროცესს რეალურად აკონტროლებს და პოლიტიკური შეჯიბრისათვის არასაკმარისი სივრცის პრობლება რეალურია, გადაჭარბებული ხომ არ არის იმის მოლოდინი, რომ 26 მაისის შედეგები პოლიტიკურ პროცესზე რეალურად აისახება?

— რაც შეეხება იმას, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ სივრცეს აკონტროლებს, ეს ისეთი რეალობაა, რომლის გადალახვა ხალხისა და პოლიტიკურ ძალებში შესაბამისი ნების არსებობისას, შესაძლებელია. ჩვენში არსებობს ტელევიზიები და პრესა, რომლითაც საზოგადოებას აქვს ალტერნატიული ინფორმაციის მიღების საშუალება. აბსოლუტურად ტოტალიტარულ ქვეყნებშიც კი, ინტერნეტის გამო ველარ ხერხდება ინფორმაციის დამალვა. ამიტომ, ოპოზიციის მხრიდან იმაზე ჩივილი, რომ მათ თავისი მოსაზრებების საზოგადოებისათვის გაცნობის საშუალება არა აქვთ, სწორი არ იქნებოდა. თუ ოპოზიცია საზოგადოებას რამე სერიოზულს შესთავაზებს, იქნება უფრო თანმიმდევრული, მეტად ინტელექტუალური, მიზანდასახული და ასე შემდეგ, მას შეუძლია ხელისუფლებას აჯობოს კიდეც. ფაქტია, რაც უფრო დიდხანს არის ხელისუფლებაში ესა თუ ის ძალა, მისი დეგრადაცია ხდება. ოპოზიციას ყოველთვის აქვს საშუალება ახალი იდეები შესთავაზოს საზოგადოებას და ხელისუფლებას აჯობოს. ამისთვის კი საჭიროა დავივიწყოთ ფიქრი ჯოხებზე, ქვებზე და არაკონსტიტუციურ მოქმედებებზე.

— რამდენად წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს "რვიანის" მცდელობა, რეალურად გაუმჯობესდეს საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო გარემო? საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს პროცესი შემოდგომისათვის, ანუ იმ პერიოდისათვის გადაიდება, როდესაც უკვე ბევრი პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ვერც მოხერხდება...

— მგონია, რომ კომპრომისი მიღწეული იქნება. ისეთი თამაში, როდესაც მხოლოდ ერთი მხარე არის მოგებული, ალბათ, არ გამოვა. ხელისუფლებასაც აქვს საზოგადოებაში საკმაოდ მაღალი მხარდაჭერა, რის გამოც იგი ოპოზიციის ყველა მოთხოვნას იოლად არ დათანხმდება. მაგრამ მოლაპარაკებებზე კომპრომისი აუცილებლად შედგება. ჩემი აზრით, 26 მაისის ექსტრემისტულმა გამოხტომებმა ოპოზიციის რესურსი სერიოზულად დააზარალა. 26 მაისის მოვლენებმა გარკვეულწილად, აქციების დისკრედიტაცია გამოიწვია. ოპოზიციურ "რვიანს" საპროტესტო აქციები შეიძლება გამოეყენებინა სიმპათიური და მშვიდობიანი მოთხოვნებისათვის, მაგრამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის ხელისუფლებაზე ზეწოლის რესურსი ოპოზიციამ დაკარგა. ნებისმიერი ასეთი აქცია საზოგადოებაში აღქმული იქნება, როგორც დესტაბილიზაციის მორიგი მცდელობა. რაც შეეხება იმას, რომ პროცესის შემოდგომაზე გადატანის შემთხვევაში, ვერ მოესწრება მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, როგორც სიების თემაა, არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ სიები ძალიან გაყალბებულია, მე არ მაქვს. არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ საარჩევნო სია იმდენად გაყალბებული და უვარგისია, რომ ამ სიებით სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. შესაძლოა, ეს საკითხები უკეთ იციან იმ ოპოზიციურმა ძალებმა, რომლებიც მოლაპარაკებებში იღებენ მონაწილეობას და ამ მიმართულებით წავიდნენ კომპრომისზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებული სიებითაც შესაძლებელია სამართლიანი არჩევნების ჩატარება და წარმატებების მიღწევა.

**ინტერპრესნიუსი**

# გადაარჩინეთ ქართული ტაძრები!

*ეკა ირემაშვილი*

ორი სხვადასხვა ქართული ტაძრის გადასარჩენად თბილისში საქველმოქმედო კონცერტები გაიმართება.

6 ივნისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მერვე კორპუსის სააქტო დარბაზში საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრის კულტურის დეპარტამენტი და საქველმოქმედო სამსახური საქველმოქმედო კონცერტს „მთის სულის ამოძახილი" ჩაატარებენ, რომელიც მუცოს ხეობაში ტრაგიკულად დაღუპული მომღერლის თეონა ქუმსიაშვილისა და მისი დის ნათია ქუმსიაშვილის ხსოვნას მიეძღვნება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ვაჟთა ანსამბლი „ლაზარე", გოგონათა ანსამბლი „იავნანა", „თსუ-გორდელა", „ფიცვერცხლი" და სხვა მომღერლები. საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ბილეთის ფასი 2 ლარია. მიუხედავად ასეთი მცირე საფასურისა, ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა მიეცემა, შესაწირი გააკეთოს. დაიწერება შემომწირველთა მოსახსენიებელი, რომელიც თბილისის ტაძრებში დარიგდება, საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა კი დიდგორში არსებული ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აღდგენა-რესტავრაციას მოხმარდება. კონცერტს თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი მეუფე თადეოზი, საპატრიარქოს წარმომადგენლები, პოეტი და მომღერალი გელა დაიაური, თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, თსუ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლები, სტუდენტური თვითმმართველობის წევრები დაესწრებიან.

9 ივნისს კი კომპანია „თებულოტური" გიორგი ჩიტაურისა და ფოლკლორულ ანსამბლ „ჩელას" საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. ეს ღონისძიება თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა თეატრში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსის, მეუფე თადეოზის ლოცვა-კურთხევით ჩატარდება. კონცერტი თიანეთის ყველაზე ძველი გუმბათოვანი ფუძნარის ეკლესიის აღდგენას მიეძღვნება. ფუძნარის ტაძრის გადასარჩენად არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის ახალგაზრდა პოეტების საღამო, რომლის შემოსავალიც მთლიანად ფუძნარის ტაძრის აღსადგენად გადაირიცხა. ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესია თიანეთის ყველაზე ძველი გუმბათოვანი ნაგებობაა და ის XIII საუკუნის I ნახევრით არის დათარიღებული. საქველმოქმედო კონცერტზე შემოსული თანხა სწორედ ამ ეკლესიის აღდგენას მოხმარდება.

# ალკოჰოლი 24 წლის ასაკამდე სასურველი არ არის

ბრიტანელი ექსპერტების ვარაუდით, ხელისუფლებმა უნდა განიხილონ კანონპროექტი, რომელიც 24 წლამდე ასაკის პირებისათვის ალკოჰოლური სასმელების მიყიდვის აკრძალვას გულისხმობს.

როგორც გაზეთი დეილი ტელეგრაფი აღნიშნავს, ახალგაზრდებისათვის სასურველი არ არის ისეთი ალკოჰოლური სასმელების მიღება, როგორიცაა ლუდი, ღვინო, უფრო მაგარი სასმელები, რადგან ახალგაზრდა ასაკში სპირტიანი სასმელების მიღება მომავალში ინტელექტუალური შესაძლებლობების შემცირებას იწვევს.

დიდი ბრიტანეთის სამეფო სამეცნიერო საზოგადოების თანამშრომლის, დოქტორ არიკ სიგმანის მოსაზრებები გადმოცემულია მის წიგნში „ალკოჰოლ ნეიშნ: ჰაუ თუ ფროთექთ აუა ჩილდრენ ფრომ თუდეის დრინქინ ქალჩა", რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც „ალკოჰოლური ერი: როგორ დავიცვათ ჩვენი ბავშვები სმის კულტურისაგან".

დღეისათვის ზოგიერთმა მშობელმა თავის შვილს ხუთი წლის ასაკშიც კი შეიძლება შესთავაზოს ალკოჰოლური სასმელი. არასრულწლოვან მოზარდებს უფლება აქვთ პაბებში მეგობრებთან ატარონ დრო, თუმცა, სპირტიანი სასმელის შესყიდვა მხოლოდ 18 წლის შემდეგ არის ნებადართული.

არიკ სიგმანი დარწმუნებულია, რომ ალკოჰოლის მიღება მხოლოდ ტვინის ფორმირების დასრულების შემდეგ, ანუ 24 წლიდან არის დასაშვები.

მისი ვარაუდით, ალკოჰოლის ზომიერი დოზების მიღებაც კი ახალგაზრდა ტვინზე სპეციფიკურ ზემოქმედებას ახდენს. „მითია, თითქოს ახალგაზრდა ასაკში ალკოჰოლის მოხმარება მომავალში ალკოჰოლიზმისაგან დაიცავს მათ. პირიქით, მსგავსი სტრატეგია ტვინისათვის მოსამზადებელ ეტაპად შეიძლება იქცეს, რომელიც სპირტისადმი მგრძნობიარე გენების აქტივაციის მიზეზად შეიძლება იქცეს" — დარწმუნებული აიგი.

**გ.თ.**



# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართველ პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 2. ფულის საერთაშორისო ერთეული; 3. ფაქტების დამახინჯებით, ცრუ დაპირებებით მასებზე გავლენის მოხდენის მცდელობა; 4. ხეობა აფხაზეთში; 5. თანამედროვე ქართველი პოეტი; 8. ვულკანი იტალიაში ნეაპოლის მახლობლად; 9. მეცნიერება საარტილერიო და რეაქტიული ჭურვების მოძრაობის შესახებ; 12. ბელგიური ავიაკომპანია; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ჯეიმს ჯოისის რომანი.

**თარაზულად:** 1. ბუნებრივი ნაკრძალი ახმეტის რაიონში; 6. დედამიწის ფორმებისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერება; 7. გურიაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 9. დიდი სატრანსპორტო სამგზავრო გემი; 10. პერუს დედაქალაქი; 11. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. პირველი გერმანული ოპერა; 15. პოპულარული პლაჟი ლოს-ანჯელესში; 17. უმცროს მეთაურთა სამხედრო ჩინი არმიაში; 18. კომპანია „მაიკროსოფტის" მფლობელი; 19. ფულადი ჯილდო; 20. ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის" ფეხბურთელთა გუნდების კაპიტანი.

*შეადგინა თვითინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ალმასი; 8. კალანდა; 9. პროლოგი; 10. მერქანი; 12. კოლტი; 13. იღლია; 14. სარკმელი; 19. ნავთობი; 21. პიკაპი; 23. ამება; 24. პრიზმა; 25. არაქისი; 26. მილიარდი.

**შვეულად:** 1. მაიმუნი; 2. სანდალი; 3. ადვილი; 4. კნოპი; 5. მაგნიუმი; 7. სკა; 11. ნიკელი; 15. კავშირი; 16. ნიბლია; 17. პიურე; 18. მარტი; 20. ბადია; 22. პუმა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სოია; 2. ოგასტა; 3. გო; 4. აი; 5. რენო; 6. იაგო; 7. ლარი; 8. რას; 9. ლეი; 10. ტუბა; 11. პაი; 12. ელ; 13. აირი; 14. ან; 15. ფანი; 16. შალაშინი; 17. აქატი; 18. ინრო; 19. ნადიმი; 20. ბუ; 21. ბეი; 22. პრიმა; 23. მარინა; 24. ღელე; 25. ელენე; 26. ლითიუმი; 27. ნამიბია; 28. მარსი; 29. კურდღელი; 30. იდიია; 31. მლეთა; 32. ბუი; 33. უმი; 34. ობი; 35. იორი; 36. მი; 37. ია; 38. იდიოტია.

**სურათებზე:** მეგან ფოქსი; ლუიშ ფაბიანო.

## ისრაელმა გოლანის მაღლობებზე დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნა




ისრაელის სამხედროებმა ცეცხლი გაუხსნეს პალესტინელთა მხარდამჭერ დემონსტრანტებს, რომლებმაც გოლიანის მაღლობებზე, სირიასთან საზღვარზე მოიყარეს თავი. ისრაელის ხელისუფლები მაისის კონფლიქტის თავიდან აცილების მოწოდებით გამოვიდნენ. მაშინ რამდენიმე ასეულმა ადამიანმა საზღვრის გადალახვა მოახერხა. თვითმხილველების თქმით, სროლის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. სირიის სახელმწიფო ტელევიზიის განცხადებით, 4 ადამიანი დაიღუპა.

დემონსტრაცია 1967 წლის ექვსდღიანი ომის დაწყების 44-ე წლისთავს მიეძღვნა. ეს ომი 5-დან 19 ივნისამდე გრძელდებოდა. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ექსტრემისტებს ისრაელის საზღვრის დარღვევის უფლებას არ მისცემს. ნეთანიაჰუს თქმით, მან უშიშროების ძალების თავშეკავებულად და კატეგორიულად მოქმედება უბრძანა, ისრაელის სუვერენიტეტის, საზღვრების, ქალაქებისა და მოსახლეობის დაცვის მიზნით.

მიუხედავად ამისა, ამ განცხადებამ ვერ შეაჩერა ასობით დემონსტრანტი, რომლებიც სასაზღვრო სოფელ მაიდალ შამსის მახლობლად ტრანშეებსა და მავთულხლართებს მიადგნენ. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, აღლუმის მონაწილეებს დროშები მოჰქონდათ და სასაზღვრო ხაზის იქით ქვებს და ნაგავს ისროდნენ.

ისრაელის სამხედროებმა განაცხადეს, რომ თავდაპირველად არაბი დემონსტრანტები მათ ჯერ შეძახილებით გააფრთხილეს, შემდეგ ჰაერში სროლა დაიწყეს და ამის შემდეგ ფეხებში ესროლეს მათ, ვინც სასაზღვრო ბარიერებამდე მივიდა. ისრაელმა სირიის კუთვნილი გოლანის მაღლობები ექვსდღიანი ომის შედეგად დაიკავა. ამ ომის შედეგად ისრაელის კონტროლს დაექვემდებარა აგრეთვე აღმოსავლეთ იერუსალიმი, ღაზას სექტორი და მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირი.

## ტყუპი ძმები ერთ დღეს გარდაიცვალნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ოქროსხელება და ყველაფერის შეკეთების უნარის მქონე ადამიანების რეპუტაცია.

ისინი ბერებისათვის განკუთვნილ შენობაში, მაგრამ ცალკე სენაკებში ცხოვრობდნენ, ამასთან ერთი სატელეფონი ხაზი ჰქონდათ. ვინმე თუ ურეკავდათ, ორივე მათგანის ტელეფონი იწყებდა წკრიალს.

2008 წელს ისინი ფლორიდას შტატში გადავიდნენ, სადაც ფრანცისკანულ მონასტერში ცხოვრობდნენ. ორდენის წევრების თქმით, ძმები გულის გაჩერების გამო გარდაიცვალნენ. წმინდა ბონავენტურას უნივერსიტეტის წარმომადგენლების თქმით, მათი გარდაცვალება მათივე უჩვეულო ცხოვრების პოეტურ დასრულებად იქცა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ისინი ყველაფერს ერთად აკეთებდნენ.

— მათ შორის წარმოუდგენელი კავშირი არსებობდა, მეტად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, თუმცა, არც ერთი მათგანი ეგოისტი არ ყოფილა — განაცხადა ადგილობრივი გამოცემის ინტერვიუში ტყუპების ბიძაშვილმა მაიკლ რაისტერმა.

## სამგლოვიარო განცხადებები



დედა ნანული, მამა გივი ნანობაშვილები, მეუღლე კახა ლაზარაშვილი, შვილები გიორგი და ნინო, დედამთილი ლენა ბარაბაძე, მამამთილი გივი ლაზარაშვილი, მაზლი თამაზ ლაზარაშვილი, რძალი ლელა ზაქაიძე, შვილები გიორგი, მარიამი, ანი, მამიდები ზეინაბ გოგიშვილი და ელზა დალაქიშვილი ოჯახებით, დეიდაშვილები ნოდარ და ფატი ბიწაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**მარიამ (მაკა) ნანობაშვილის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 7, 8 ივნისს, 17 საათზე.
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 9 ივნისს, 14 საათზე.
მისამართი: ვაზისუბანი, IV მიკრორაიონი, II კვარტალი, II კორპუსი, VI სადარბაზო.

---

ილია თუშიშვილი და ირინა ბალავაძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ნანული და გივი ნანობაშვილებს შვილის

**მაკა ნანობაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ნინო, გურამ, მერაბ ტატიშვილები, ელენე მერცალოვა, სვეტა გვათუა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ქალბატონი

**თამარ საბაური-ახალაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი: 7, 8 ივნისს.
დაკრძალვა: 9 ივნისს, 15 საათზე.
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 75, VI კორპუსი, I სადარბაზო.

---

ყოფილი სოხუმის რაიონის გამგეობა იუწყება თანამშრომლის

**ჟილვერ გადილიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## მლადიჩმა მისთვის წაყენებულ ბრალდებებს შეურაცხმყოფელი უწოდა



ბოსნიელ სერბთა ჯარების ყოფილი სარდალი რატკო მლადიჩი ჰააგაში, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარდგა.

ვინაობის დადასტურების შემდეგ მას 11 პუნქტისგან წაკითხული ბრალდებები წაუკითხეს, რის შემდეგაც მოსამართლე ალფონს ორიმ მას დანაშაულის აღიარების ან უდანაშაულობის გამოცხადების შესახებ მიმართა.

მლადიჩმა პასუხად განაცხადა, რომ ბრალდებებთან დაკავშირებით აზრის გამოთქმისგან თავს იკავებს, რადგან 37 გვერდზე წარმოდგენილ ბრალდებებთან გაცნობის შესაძლებლობა არ ჰქონია. ტრიბუნალის შემდეგი სხდომა 2011 წლის 4 ივლისს არის დაგეგმილი. ბრალდებების წაკითხვის დროს მლადიჩი უარყოფის ნიშნად თავს აქნევდა, პროცედურის დასრულების შემდეგ კი განაცხადა, რომ მას ერთ თვეზე მეტი დასჭირდება იმისათვის, რომ ეს გაუგონარი ბრალდებები გაიგოს.

მოსამართლემ მლადიჩს შეახსენა, რომ სასამართლოს წესების თანახმად, ბრალდებებთან დაკავშირებით განცხადების გასაკეთებლად ბრალდებულს მხოლოდ 30 დღე აქვს. რაიმე განცხადების გაკეთებაზე უარის თქმა ბრალდებების უარყოფად და თავის უდანაშაულოდ ცნობად იქნება მიჩნეული, რაც სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირდება.

მთავარი, გენოციდეს ბრალდება 1995 წელს ქალაქ სრებრენიცაში 7500 ბოსნიელი მუსლიმანი მამაკაცისა და ბიჭის დახოცვას ეხება. ბრალდების სხვა მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს სარაევოს 44-თვიანი ალყა, რომელმაც 1992 წლის შემდეგ 10 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მლადიჩის სერბმა ადვოკატმა მილოშ შალიჩმა ჰააგაში ექსტრადიციამდე განაცხადა, რომ მლადიჩი რაიმე განცხადების გაკეთებას არ აპირებს. მანამდე მლადიჩმა განაცხადა, რომ ჰააგის ტრიბუნალის უფლებამოსილებას არ ცნობს.

სხდომის დასაწყისში მლადიჩმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაიჩილა.

„მე მძიმედ ვარ ავად, ქაღალდების სამი დასტა მომიტანეს, ვერაფერი წავიკითხე, რადგან ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს", — განაცხადა მლადიჩმა.

მოსამართლემ მლადიჩს განუმარტა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები დახურულ სხდომაზე შეიძლება ყოფილიყო განხილული. მლადიჩმა ამ უფლებით ისარგებლა და სხდომის ნაწილი დახურულ რეჟიმში წარიმართა.

წინასწარი განხილვის დროს სერბი გენერლის ინტერესებს სასამართლოს მიერ დანიშნული სერბი ადვოკატი ალექსანდრ ალექსიჩი იცავდა. მოგვიანებით მლადიჩს სხვა, მუდმივი ადვოკატის შერჩევა, ან საკუთარი თავის სასამართლოში თავად დაცვა შეეძლება.

სამშაბათს მლადიჩი ჰააგაში საგამოძიებო იზოლატორში მოათავსეს და იგი ექიმმა გასინჯა. ექიმის თქმით, მლადიჩს სასამართლოს წინაშე წარდგომა შეუძლია. მისი ადვოკატები კი ამტკიცებენ, რომ მლადიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ადვოკატ ალექსიჩის თქმით, მრავალი წლის განმავლობაში მლადიჩს შესაფერისი სამედიცინო დახმარება არ მიუღია და ამჟამად სასურველი იქნებოდა, მისი ჯანმრთელობის მდგოამრეობა უკეთესი იყოს.

იმავდროულად, ადვოკატმა შალიჩმა განაცხადა, რომ 2009 წელს ლმადიჩმა ბელგრადის ერთ-ერთ კლინიკაში ავთვისებიანი სიმსივნის მკურნალობის კურსი გაიარა. მანამდე შალიჩმა სერბული მედიის ინტერვიუში განაცხადა, რომ დევნის განმავლობაში მლადიჩმა სამი ინსულტი და ორი ინფარქტი გადაიტანა.

## იემენის პრეზიდენტი სამკურნალოდ საუდის არაბეთში გადაიყვანეს

იემენის პრეზიდენტი ალი აბდალა სალეჰი შაბათს საუდის არაბეთის დედაქალაქს სამკურნალოდ ეწვია. სალეჰი პარასკევს იემენის დედაქალაქ სანაში ოპოზიციის მიერ მის სასახლეზე თავდასხმის შედეგად დაიჭრა. სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობების შესრულება იემენის ვიცე-პრეზიდენტმა აბდ-რაბუ მანსურმა ითავა.

არსებული მონაცემების თანახმად, სალეჰმა სახისა და მკერდის მეორე ხარისხის დამწვრობა მიიღო, გარდა ამისა, ნამსხვრევით მკერდში დაიჭრა, გულის ქვემოთ.

სალეჰთან ერთად დაიჭრა აგრეთვე იემენის ხუთი ოფიციალური პირი, მათ შორის პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის სპიკერი. ისინი ასევე საუდის არაბეთში იმყოფებიან სამკურნალოდ.

მანამდე სალეჰის გარემოცვის წარმომადგენლებმა მისი საზღვარგარეთ გამგზავრების ცნობები უარყვეს და განაცხადეს, რომ ოპერაციას მას სანაში გაუკეთებდნენ. აბუ სალეჰისა და მისი დაახლოებული პირების მეჩეთში ყოფნის დროს პრეზიდენტის სასახლეს ორი საარტილერიო ჭურვი ესროლეს. ცეცხლის დაშენიდან რამდენიმე საათის შემდეგ იემენის მთავრობის ხელმძღვანელი რადიოთი ერისადმი მოკლე მიმართვით გამოვიდა, რომელშიც პასუხისმგებლობა შეიხ სადის აჰმარის მომხრეებს დააკისრა. გავრცელებული ცნობების თანახმად, პრეზიდენტი მძიმედ ლაპარაკობდა და სუნთქვა უჭირდა. სალეჰი ხელისუფლების სათავეში 33 წელია იმყოფება და მისი გადადგომის მოთხოვნით გამოსვლები თებერვლის დასაწყისიდან იმართება.

## ახალი პრეპარატი მელანომის განვითარებას აფერხებს

ბრიტანელი მეცნიერების თქმით, მათ შექმნეს უნიკალური სამკურნალო საშუალება, რომელიც კანის კიბოს, კერძოდ მელანომის პრობლემურ გენზე მოქმედებს.

როგორც ექსპერიმენტებმა აჩვენეს, ახალი პრეპარატი კიბოს განვითარებული ფორმის მქონე ავადმყოფებში სიკვდილიანობის რისკს ორი მესამედით ამცირებს.

ლონდონის როიალ მარსდენის საავადმყოფოს სპეციალისტების თქმით, მათ მიერ მიღებული შედეგები კიბოს სამკურნალო თერაპიაში ნამდვილი გადატრიალების ტოლფასია. ახალი პრეპარატი მოქმედებს იმ მელანომების შემთხვევაში, რომლებიც ე.წ. ბიერეიფი გენის მუტაციით არის გამოწვეული და ეს მუტაცია კიბოს შემთხვევების 50%-ს განაპირობებს.

პრეპარატის საერთაშორისო გამოკვლევაში მონაწილეობდა 670 პაციენტი აშშ-დან, კანადიდან, ევროპის ქვეყნებიდან და ავსტრალიიდან.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქიმიოთერაპიის კურსთან შედარებით პაციენტების სიცოცხლის გახანგრძლივების შანსები 65%-დან 84%-მდე გაიზარდა.

ახალი პრეპარატი ვემურაფენიბის სახელწოდებით არის ცნობილი და მისი გამოკვლევის შედეგებმა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. კანის კიბო ჩვეულებრივად ემართებათ ღია კანის მქონე ადამიანები არიან, რომლებიც შვებულების ორ მესამედს ხშირად პლაჟზე ატარებენ და როგორც წესი, მსგავსი დასვენების შედეგს მზის დამწვრობა წარმოადგენს.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## ნადალი „როლან გაროსის" ექვსგზის ტრიუმფატორია

რაფა ნადალი საფრანგეთის ღია პირველობის ექვსგზის გამარჯვებულია, სულ კი 10 სადიდსლემო შეჯიბრება აქვს მოგებული! ეს ფილიპ შატრიეს სახელობის კორტზე ნადალისა და როჯერ ფედერერის ოთხსაათიანი პაექრობის შემდეგ გახდა ცნობილი. ესპანელმა შვეიცარიელს ოთხ სეტში 7:5, 7:6 (7:3), 5:7, 6:1 მოუგო და „როლან გაროსზე" მოგებების რაოდენობით ლეგენდარულ შვედს ბიორნ ბორგს დაეწია.

ამ ჩოგბურთელებს არაერთი ფინალი აქვთ ნათამაშები და შესაძლოა, როლან გაროსის ბოლო მატჩი ისეთი თვალსასეირო არ იყო, საუკეთესოდ რომ მივიჩნიოთ, მაგრამ მთლიანად ფინალის მსვლელობისას და მის ცალკეულ ეპიზოდებშიც, ნადალმაც და ფედერერმაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესოთა შორის ადგილი დამსახურებულად რომ აქვთ მოპოვებული.

მატჩის მიმდინარეობისას რამდენჯერმე შეიცვალა მოვლენები. პირველ სეტში ფედერერი 5:2 დაწინაურდა და სეტბოლსაც მიაღწია, მაგრამ ზედიზედ ხუთი გეიმი დათმო და დამარცხდა. მეორეში რაფა იგებდა 5:4-ს და საკუთარ მოწოდებაზე ორი სეტბოლიც ჰქონდა, მაგრამ როჯერმა ტაიბრეიკამდე მისვლა მოახერხა. თუმცა, საბოლოოდ შვეიცარიელმა მეორე სეტიც დათმო. მესამეში ფედერერმა საბრძოლო თვისებები სრულად გამოავლინა. ნადალი 4:2 დაწინაურდა, მაგრამ დიდი სლემის ტურნირების 16-გზის მომგებმა როჯერმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი სეტი მოიგო. მეოთხე სეტის მსვლელობისას აშკარად გამოჩნდა, რომ ნადალს მეტი ენერგია ჰქონდა შერჩენილი, რამაც საბოლოოდ მისი დამაჯერებელი მოგება გამოიწვია 6:1.

— ვულოცავ როჯერს. როგორც ყოველთვის, მან ამჯერადაც ფანტასტიკური ჩოგბურთი გვიჩვენა. ფინალი ძალიან კარგი გამოგვივიდა. დიდი მადლობა ყველა ჩემ გულშემატკივარს და განსაკუთრებით ოჯახის წევრებს, — განაცხადა ნამატჩევს რაფამ.

ბოლოს კი იმასაც მოგახსენებთ, რომ „როლან გაროსის" კიდევ ერთხელ მოგების შემდეგ რაფამ მსოფლიო რეიტინგსიაში მოწინავე პოზიცია შეინარჩუნა, რადგან წაგების შემთხვევაში პირველობას ნოვაკ ჯოკოვიჩი გადაიბარებდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## TV პროგრამა

**სამშაბათი 7 ივნისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. "**ხუთი და**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "დრო" **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00, 01.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** მხ. ფ."**მშვენიერი ბედაურები**" (მ. დეიმონი) (სუბტ.) **01.10** მოამბე **02.30** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" **20.00** მხ. ფილმი "**ჩარლის ანგელოზები – მხოლოდ წინ**" **01.00** მხ. ფილმი "**შავი ქორის დესანტი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. "**მორენას ვნება**" **18.45** სერ. "**ავრორა**" **19.45** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** პოკერ რინგი **02.25** მხ. ფილმი "**მისტერ და მისის სმითები**" (12) (ბ. პიტი) (სუბტ.) **04.40** მხ. ფილმი "**ვიკი კრისტინა ბარსელონა**" (18) (პ. კრუსი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** იმედის ფსონი (პირდ.) **16.10** სერ. "**ვნებათა მიწა**" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.00, 16.00** სახლი ბათუმში **11.50, 21.00** სერ. "**მომიყევი ერთი ამბავი**" **12.50, 19.30** სერ. "**უკვალოდ**" **15.00** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **18.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** მოკ. ფილმი "**პიესა ოთხი ხელისთვის**" **10.50** დოკ. ფილმი "ოსანა მაღალთა შინა" **11.30** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ."**დანაშაული მოხდა**" **13.30** კონცერტი – ე. სავიცკი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფ. "**ადამიანთა სევდა**" **16.55** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.20** მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად **17.45** მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი "**პიერი მილიციის თანამშრომელი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**7 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6658

ევრო —2,3799

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7451

რუსული რუბლი — 0,0593

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 23-28, ღამით — 12-16

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-26, ღამით — 13-15

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-23, ღამით — 5-13

### ამინდის პროგნოზი 7 ივნისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## თურქები ირწმუნებიან — ხიზანიშვილი არველაძესთან




თურქული საინფორმაციო გამოცემის ცნობით, საქართველოს ნაკრების მცველი ზურაბ ხიზანიშვილი კარიერას შოთა არველაძის მიერ გაწვრთნილ „ქაისერისპორში“ გააგრძელებს. გამოცემის ცნობით, შეთანხმება თითქმის მიღწეულია და სავარაუდო საკონტრაქტო ვადად ორწლიან ხელშეკრულებას ასახელებს.

ხიზანიშვილის ბოლო კლუბი ინგლისური „რედინგი“ იყო, სადაც განათხოვრებით თამაშობდა, ხოლო კონტრაქტით „ბლექბერნს“ ეკუთვნოდა. „რედინგმა“ პრემიერლიგაში გადასასვლელი ბოლო მატჩი „სუონსისთან“ წააგო და ცოტა დააკლდა აღზევებამდე. ხიზანიშვილს კი „ბლექბერნთან“ კონტრაქტი ამოეწურა და „რედინგს“ მისი დატოვება თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეძლო. თავად ფეხბურთელი კი აცხადებდა, ჯერ ნაკრებში ვითამაშებ ხორვატიასთან და საკლუბო კარიერას მერე მივხედავო. როგორც ჩანს, ყველაფერი თითქმის გარკვეულია.

თურქული გამოცემა უკვე გადაწყვეტილად თვლის ხიზანიშვილის „კაისერისპორში“ გადასვლაზე. შეხსენებისთვის, შოთა არველაძე და ხიზანიშვილი შოტლანდიურ "გლაზგო რეინჯერსში“ და, რა თქმა უნდა, ეროვნულ ნაკრებშიც ერთად თამაშობდნენ.

## ტყუპი ძმები ერთ დღეს გარდაიცვალნენ




92 წლის ტყუპი ძმები, ფრანცისკანელი ბერები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთხელაც არ დაშორებიან ერთმანეთს, ერთ დღეს, რამდენიმე საათის ინტერვალით გარდაიცვალნენ.

ჯულიან და დრიან რაისტერები ერთად დადიოდნენ სკოლაში, ერთად მოგზაურობდნენ მსოფლიოში და წმინდა ფრანცისკის ორდენის წევრებიც ერთად გახდნენ. დაბადებისას მათ ჯერომი და ირვინი უწოდეს და 20 წლის ასაკში ბერად აღკვეცისას მათ კათოლიკე წმინდანების სახელები აირჩიეს.

ტყუპებს არასდროს გაუმხელიათ, თუ რომელი მათგანი დაიბადა პირველი.

ისინი ნიუ იორკის შტატში, ქალაქ ბაფალოში დაიბადნენ, სიცოცხლის მეტი ნაწილი წმინდა ბონავენტურას უნივერსიტეტში გაატარეს, სადაც დურგლად და მებაღედ მუშაობდნენ. სწრაფად მოიხვეჭეს

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 7 ივნისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — წარმატებული დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით სიურპრიზი. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ახალი წამოწყება გაამართლებს, იაქტიურეთ. **ღრიანკალი** — არ გარისკოთ, საწადელს ისედაც მიაღწევთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის კარგი ამბავი აქვს. **თხის რქა** — სახლში რემონტს წამოიწყებთ, ძალა მოიკრიბეთ. **მერწყული** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **თევზები** — ეს დღე ახლობლებს დაუთმეთ, მათ თქვენი თანაგრძნობა სჭირდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 30 მაისიდან

## იყიდება

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

**100 წიგნი**

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 6**

# რიშელიე

**გაზეთი და წიგნი ერთად**
**8 ლარი**


## იუმორი



* * *

— ტუალეტის ქაღალდის ნაკლებობასთან დაკავშირებით, გთხოვთ, საზოგადოებრივ ტუალეტებში შემოიღოთ საჩივრისა და წინადადების წიგნი...

* * *

— „დაკარგულების“ რამდენიმე სეზონი და უკვე საგიჟეთში ხარ.

— „ექიმი ჰაუსის“ რამდენიმე სეზონი და იქ მთავარ ექიმად დაგნიშნავენ...

* * *

დაღლილმა და თანაც მთვრალმა ქმარმა საღამოს ცოლს ფაქტზე მიუსწრო, მერვე სართულზე მდებარე ბინაში საყვარელთან საწოლში დაადგა თავზე. საყვარელს კისერში სწვდა და სიტყვებით: მეორედ თუ დაგინახე, არ გაცოცხლებ? ფანჯრიდან გადაუძახა...

* * *

— ქალი სიმართლეს მხოლოდ მაშინ ამბობს, თუკი მისი საშუალებით სიცრუის დაფარვა სურს...

**გ. თ.**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 2. ფორთოხლისგან დამზადებული, უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 3. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 4. ტერიტორიული ერთეული მონღოლეთში; 6. უნგრული წვნიანი კერძი; 9. ლირიკული ხასიათის ზანგური სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა; 11. ჩინელი ფილოსოფოსი; 15. დედამიწის ქერქი, მტკიცე გარსი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. სპეკულაციური გარიგებებით გამდიდრებული ადამიანი; 19. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი; 21. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 22. ყველაზე დიდი თეატრი ლონდონში.

**თარაზულად:** 5. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ძალიან იშვიათი ნივთი; 8. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. სარეკლამო ლოზუნგი; 12. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 13. ფინეთის ისტორიული სახელწოდება; 14. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 18. ავსტრიელი მწერალი; 20. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 23. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 24. ფოროვანი სამშენებლო მინერალი; 25. მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა; 26. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 27. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია „კოკა-კოლას“ სათავო ოფისი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



ლურჯი წითელი ყვითელი შავი